ლელო

№ 187 (12 257)

10 აგვისტო პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

I ტური

10 აგვისტო. პარასკევი
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
მესხეთი-მგლები
ლოკომოტივი-ამერი

11 აგვისტო. შაბათი
დილა-ბათუმი
სიონი-სპარტაკი
ოლიმპი-დინამო

12 აგვისტო. კვირა
ბორჯომი-მერანი

ესეც ქართული მარათონის სტარტი

დღეს მთავარი ზესტაფონი-ვიტ ჯორჯიაა, ხვალ ჩემპიონი ვიცე-ჩემპიონის წინააღმდეგ

2-3 ჩემპიონატის მონაწილენი სტარტის წინ

2007 წლის 5 მაისი. რუსთავი. ოლიმპი-დინამო 0:0. გასული ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი



რა დროს რაპიდია? ჯერ ოლიმპი!

ჩემპიონატის დაწყებამდე, დინამო საზოგადოებას ახალი სპონსორული კონტრაქტით წარუდგა 4

საჭირო გახდა და ძოძუაშვილის საქმეში ჩავერიე

რატომ დატოვეს ოლიმპი ჯაფარიძემ და გუგეშაშვილმა?

ორი ინტერვიუ საინტერესო თემებზე 5

BUNDES LIGA

ბუნდესლიგაც მოსულა

დღეს შტუტგარტი და შალკეა

კოგიაშვილი ძირითადში მოიაზრება. კიკერის პროგნოზი 2:2 7

ბრიტანეთი დენგიანად დავამარცხეთ

ფაჩულიას ორმაგი დუბლი და ბრწყინვალე მანუ 9

დომენეკს იტალიასთან მსაჯების ეშინია



ფარული გარიგებები მაგათი ჩვევაა 8

ხვალიდან პრემიერლიგაც

განაცხადები და კალენდარი 6-7

იმედაშვილი ლატვიაში ითამაშებს

კიევის "დინამოს" ქართველი ლეგიონერი დავით იმედაშვილი, რომელიც ვერაფრით დამკვიდრდა უკრაინულ გრანდში, ლატვიაში გააგრძელებს საფეხბურთო კარიერას. ამის შესახებ ცნობას ლატვიური "დელფი" აქვეყნებს. შეგახსენებთ, რომ დავით იმედაშვილი ივლისში რუსულ "სატურნში" ისინჯებოდა, თუმცა წარუმატებლად. დავით იმედაშვილი ლატვიის ჩემპიონ "ვენტსპილსში" ითამაშებს, სადაც მისი თანამემამულე ზურაბ მენთეშაშვილი ასპარეზობს. 22 წლის იმედაშვილი "ვენტსპილსის" რიგით მეათე ლეგიონერია. "დელფი" არ აკონკრეტებს იჯარით გადაიყვანა "ვენტსპილსმა" ქართველი მცველი, თუ გამოისყიდა.

კანკავა ვარჯიშზე დაშავდა

საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ნახევარმცველმა "დნეპრის" გუშინდელ ვარჯიშზე კოჭის ტრავმა მიიღო და პირველადი მონაცემებით, ფეხბურთს სამი კვირით ჩამოშორდა. შესაბამისად, იგი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს პოლონეთთან გასვლით მატჩში ვერ დაეხმარება. შეგახსენებთ, ჯაბა კანკავა კლაუს ტოპმიოლერმა სალუქსემბურგო შემადგენლობაში არ შეიყვანა და უფრო პრინციპული შეხვედრისთვის პეტარ სეგრტს დაუთმო.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი სოხუმში?!



9

გასხლეინი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

www.pfl.ge

სხვადასხვა მიზანი და ამბიცია

ტორპედოს აჩრდილი

დღეს, საქართველოს XIX ჩემპიონატი იწყება; იწყება უამრავი სიახლით, ინტრიგითა და... გარკვეული გულისტკივილითაც. კი, ქომაგებისთვის თვალსასაჩინო იქნება ოქროს მედლებისთვის მებრძოლი გუნდების კონკურენციის ხილვა; არანაკლებ დამაინტრიგებელი სიტუაცია იქნება ცხრილის ბოლოშიც - როგორი საქმეა, როცა 14 გუნდიდან ოთხს პირველი ლიგა "ელოდება"; არადა, უკვე რამდენი შემთხვევა გვახსოვს, როცა სახელიანი (ჩვენს კვალობაზე) გუნდები ქვედა ლიგაში დაშვებულან და... იქიდან დღემდე რომ ვერ გამოუღწევიათ. ჰო, ეგრე იყო - აბა, გაიხსენეთ ლანჩხუთის "გურია", სამტრედიის "ლოკომოტივი", ფოთის "კოლხეთი", რუსთავის "გორდა", ზუგდიდის "ოდიში". ისე, რუსთაველებსა და ზუგდიდელებს კიდევ რა უჭირთ - სხვა სახელით მოასპარეზე, მაგრამ მაინც ხომ ჰყავთ გუნდები უმაღლეს ლიგაში. და აი, ახალი სეზონის პირველი იმედგაცრუებაც. არა, ეს უფრო ტკივილია; ტკივილია, არა მხოლოდ კონკრეტული ქალაქისა და გუნდის წარმომადგენლებისთვის, არამედ, მთლიანად, ქართული ფეხბურთისთვისაც. მწარე რეალობაა, მაგრამ ფაქტია - საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი "ტორპედო" (ქუთაისი) ფინანსური პრობლემების გამო უმაღლესი ლიგიდან გააგდეს. ჰო, "ტორპედო": თბილისის "დინამოს" მერე ჩვენი ყველაზე სახელიანი გუნდი; საუკუნის განმავლობაში ქართულ ფეხბურთს უამრავი ტალანტი რომ აჩუქა...

...მედალს ორი მხარე აქვს და ერთის მხრივ, საქართველოს პროფესიული ლიგის ხელმძღვანელებსაც არ გაემტყუნებათ: გუნდმა ფინანსური გარანტიები თუ ვერ წარმოადგინა, საწევრო თუ ვერ შემოიტანა, მაშინ (ვინც არ უნდა იყოს) უმაღლესში არაფერი ესაქმება. მით უმეტეს, რომ "ტორპედოს" ეს ავბედითი ფინანსური კრიზისი მოულოდნელად, ზედ ახალი სეზონის დაწყების წინ არ დასტყდომია. წინა ჩემპიონატის მეორე წრიდან მოყოლებული ერთი და იგივე გვესმოდა - აი, ახალი ინვესტორი გამოჩნდება და "ტორპედოსაც" ეშველებაო. არც ინვესტორი გამოჩნდა, ვერც კლუბის, ქალაქისა თუ სამხარეო ხელმძღვანელობამ გამოიჩინა სათანადო ყურადღება და სავალალო ფაქტიც მოხდა. ყველაზე ცოდონი კი "ტორპედოს" ერთგული ქომაგები, გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელები და დებიუტანტი მწვრთნელი დავით ჯანაშია არიან...

...მედლის მხარეებზე ვსაუბრობთ და მეორეც ვთქვათ: უკვე არაერთხელ გაჟღერდა - ხომ შეიძლებოდა, პროფესიული ლიგის ხელმძღვანელებს "ცოტა კიდევ მოეცადათ" და ამასობაში "ტორპედოს" ვინმე სერიოზული პატრონიც გამოუჩნდებოდაო. სამწუხაროდ, ეს აზრი რეალობას მოკლებულია - თუკი რვა თვის განმავლობაში არავინ არ გამოჩნდა , ორ-სამ დღეში მოიძებნებოდა? თანაც, უფულო და უმოტივაციო გუნდს, რა წარსულიც უნდა ჰქონდეს, უმაღლესში არაფერი ესაქმება. და მაინც - მე-19 ჩემპიონატს, ალბათ, ბოლომდე გაჰყვება "ტორპედოს" აჩრდილი; იმ გუნდისა, თბილისისა და ბათუმის "დინამოსთან" ერთად აქამდე ჩატარებულ 18-ვე ჩემპიონატში რომ მონაწილეობდა. თანაც, განა მხოლოდ მონაწილეობდა - "ტორპედო" ყოველთვის ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ფლაგმანი იყო...

ოლიმპი

ლევან სილაგაძე

ახალს არაფერს ვიტყვით - წარმატების მიღწევაზე ძნელი, მისი შენარჩუნებაა. ასე იქნება ახალ სეზონშიც: რუსთაველთა გუნდი ოქროს მედლების ერთ-ერთ ფავორიტად უნდა ჩაითვალოს, თუმცა კონკურენტებიც მოუძღიერდნენ და, აქედან გამომდინარე, ჩემპიონატი საკმარისზე მეტ ინტრიგას გვპირდება. "ოლიმპის" მწვრთნელ-ფეხბურთელთათვის ამჟამად მთავარი საფიქრალი ის არის, რომ რაც შეიძლება მალე დაივიწყონ ჩემპიონთა ლიგაზე წარუმატებელი დებიუტი. მართალია, "ასტანასთან" შეხვედრები უკვე ჩავლილი ამბავია, მაგრამ კიდევ ერთხელ გვინდა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ყაზახურ გუნდთან მარცხის ერთ-ერთი მიზეზი "ოლიმპის" ფეხბურთელთა შეუთამაშებლობაც იყო. საჩემპიონო სეზონის მერე რუსთავულ კლუბში ბევრი საკადრო ცვლილება მოხდა - გუნდიდან წავიდნენ მთავარი მწვრთნელი (**რევაზ ძოძუაშვილი**) და წამყვანი ფეხბურთელები (**გიორგი ონიანი, თორნიკე აფციაური, გიორგი სეთურიძე, რევაზ გოცირიძე**); თუმცა ვერავინ იტყვის, რომ მათ არასრულფასოვანი შემცვლელები ჰყავთ. იგივე **ჯაბა დვალი** და **ალეკო კოშკაძე** სულაც არ არიან ურიგო ფეხბურთელები, ერთობ საინტერესო ლეგიონერები არიან სერბი **ჟივკოვიჩი** და გაბონელი **აკუსაგა**, აღარაფერს ვამბობთ უდიდესი გამოცდილების მქონე **ლევან სილაგაძეზე** - მშობლიურ ქალაქს ერთობ ხანგრძლივი განმორების მერე რომ დაუბრუნდა. მშობლიური ქალაქი შემთხვევით არ გვიხსენებია - "ოლიმპის" ახალი მთავარი მწვრთნელი **ვარლამ კილასონიაც** რუსთავშია დაბადებულ-გაზრდილი. წამსვლელ-მომსვლელები ვახსენეთ და არც ისინი უნდა დავივიწყოთ, ვინც "ოლიმპს" ოქროს მედლები მოუტანა. ფაქტია, რომ შემადგენლობის მხრივ რუსთაველთა გუნდი ერთობ სოლიდურად გამოიყურება: ორი სრულფასოვანი მეკარე (**მირზა მერლანი** და **მიხეილ ალავიძე**), უაღრესად გამოცდილი ფეხბურთელები (**დავით ჭიჭვეიშვილი, მიხეილ მახვილაძე, სერგო ორბელაძე**) და ერთიმეორეზე უკეთესი ახალგაზრდა მოთამაშეები (**გიორგი ნავალოვსკი, რევაზ გეწაძე, გიორგი კახელიშვილი, ლადო დვალიშვილი**). ნურც **ლაშა ქებაძეს** დავივიწყებთ - გასული ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო საყრდენ ნახევარმცველს. მოკლედ, "ოლიმპისგან" რუსთაველი ქომაგები ისევ ჩემპიონობას მოითხოვენ, ოღონდ, კიდევ ვიმეორებთ, ეს რთული საქმე იქნება. ისე, ვარლამ კილასონიას გუნდს თავდაპირველად მართლაც "საშინელი" კალენდარი აქვს - პირველ ექვს ტურში... ოთხ უშუალო კონკურენტს უნდა შეხვდეს!

დინამო

გიორგი მერებაშვილი

ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში მხოლოდ ერთხელ იყო, როცა "დინამო" სამი წელიწადი უტიტულოდ რჩებოდა (ახალი საუკუნის მიჯნაზე ქუთაისის "ტორპედო" რომ ზეობდა). და აი, "დინამო" ამ სეზონშიც თუ ვერაფერს მიაღწევს, თავის ანტირეკორდს გაიმეორებს. არადა, ჩვენი ყველაზე სახელოვანი გუნდისგან უფრო მეტს რომ ვითხოვთ, ჩვეულებრივ ამბად უნდა შეფასდეს. ბოლოს და ბოლოს, ასეთი პირობებით ხომ სხვა ვერცერთი გუნდი ვერ დაიკვეხნის. მოკლედ, გუნდს ყველა პირობა აქვს შექმნილი, რომ ორწლიანი უქმობის შემდეგ დაკარგული პოზიციები დაიბრუნოს: უაღრესად გამოცდილი უცხოელი მწვრთნელი, ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი, სტაბილური შემადგენლობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ "დინამომ" წარმატებით დაძლია ევროტურნირების პირველი ეტაპი. თუმცა როგორი იქნება "დინამო" ბოლო წლების უპირობო ლიდერის გარეშე? **სანდრო იაშვილზე** მოგახსენებთ - წინა სეზონის ტრიუმფატორზე, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიცა და ბომბარდირიც დამსახურებულად რომ გახდა. იაშვილი "დინამოს" ქარიზმა იყო - გუნდის წარმატება-წარუმატებლობაც ახალგაზრდა ლიდერის თამაშზე იყო დამოკიდებული. ახლა კი **დუშან უჭრინს** ასეთი ფეხბურთელი გუნდში არა ჰყავს; ნუ გამოვრიცხავთ, რომ ლიდერის ტვირთი კიდევ ერთმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა - **გიორგი მერებაშვილმა** ზიდოს; ამ ბიჭს ყველა მონაცემი აქვს, სერიოზულ დონეს რომ მიაღწიოს. "დინამოს" ერთგული ქომაგები დიდ იმედს ამყარებენ **დავით დიღმელაშვილზე, გიორგი ფეიქრიშვილზე, სანდრო კობახიძესა** და **დავით ოდიკაძეზე** (ნახევარდაცვა ჩინებულია!); დაცვაშიც სანერვიულო არაფერი უნდა ჰქონდეთ. **ნედ ზელიჩი** ჯერ კიდევ 15 წლის წინათ ბუნდესლიგაში თამაშობდა, **მილოშ კრჩკოსაც** არა უშავს, ძმები **კაშიები** უაღრესად პერსპექტიულები არიან; აი, მეკარისა და თავდასხმის პოზიციებზე კი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი სიტუაციაა; განსაკუთრებით შეტევაში, სადაც, ფაქტობრივად, **აკირემისა** და **სპასოევიჩის** გარდა არც არავინ არის. უჭრინი, ალბათ, თვითონაც ხვდება, რომ მისგან მხოლოდ ჩემპიონობას მოელიან. ისიც ყველაზე უკეთ მოეხსენება, რომელ რგოლში რომელი ფეხბურთელებით უნდა გააძლიეროს გუნდი. თუმცა ჩვენი აზრით, რატომღაც დარწმუნებული ვიყავით, რომ "დინამოს" ახალი სეზონის წინ უფრო ხმაურიანი შეძახილები ეყოლებოდა. და მაინც, "დინამო" თუ ამ სეზონშიც უტიტულოდ დარჩა, კლუბის იმიჯზე ნამეტნავად უარყოფითად იმოქმედებს.

ამერი

დიმიტრი ტატანაშვილი

აი, ვინ იქნება ოქროს მედლების კიდევ ერთი რეალური კანდიდატი! ჰო, "სათასო გუნდად" შერაცხულ "ამერს" რეალურად შეუძლია ჩემპიონატშიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს. საერთოდაც, ჟურნალისტებსაც მოგვბეზრდა მხოლოდ უარყოფითსა და არასასიამოვნოზე წერა. საბედნიეროდ, ჩვენ საკლუბო ფეხბურთში "ამერის" გამოჩენისთანავე ამ გუნდის მიმართ მხოლოდ დადებითი ემოციები ჭარბობს (და ეს არა მარტო იმიტომ, რომ კლუბის ხელმძღვანელები ჩვენი ყოფილი კოლეგები არიან). ძალიან მოკლედ ვიტყვით: ამ კლუბში თავის უშუალო მოვალეობას ყველა მაღალპროფესიულად ასრულებს! ფეხბურთი მარტო თამაში არ არის: საკლუბო ინფრასტრუქტურა, სელექცია, ურთიერთპატივისცემა და ნდობა - დაარსების დღიდან "ამერში" ეს ყველაფერი მაღალ დონეზეა და შედეგიც ადეკვატურია. ამიტომაც ნუღარ გაგვიკვირდება, რომ ეს გუნდი ზედიზედ ორჯერ თასის ფინალს იგებს; ზედიზედ ორჯერ ევროტურნირებზე, ღირსეულზე მეტი რომ ჰქვია, ისე ასპარეზობს და ასე შემდეგ.

...ნდობა ვახსენეთ და იცის "ამერის" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი ჩიხრაძემ,** რომ მის საქმიანობაში არავინ ჩაერევა. ფეხბურთელებმაც იციან, რომ კლუბის ხელმძღვანელები დღენიადაგ მათზე ზრუნავენ და ამიტომაც "ამერი" გეგმაზომიერად (თანაც, "ჩქარ-ჩქარი" ნაბიჯებით) ქართული საკლუბო ფეხბურთის პირველობის კენ მიილტვის. ახალი სეზონის წინ "ამერს" ხმაურიანი ტრანსფერი არ ჰქონია, სამაგიეროდ, გიორგი ჩიხრაძეს უმაღლეს ლიგაში ყველაზე დაბალანსებული და კონკურენტუნარიანი შემადგენლობა ეყოლება - ყველა პოზიციაზე ორი თანაბარი ძალის ფეხბურთელი სხვა არცერთ გუნდს არ ჰყავს. "ამერის" კიდევ ერთი სიძლიერე გუნდური სულისკვეთებაა, სადაც არავინ უცქერს **ვახტანგ ხვადაგიანის, ზურაბ ქვაჩახიას, სულიკო დავითაშვილის, გივი დიდავასა** თუ **გიორგი დავითნიძის** ასაკს. **დიმიტრი ტატანაშვილი?** აი, ვინ უნდა გახდეს ამ ჩემპიონატის აღმოჩენა. თუმცა რატომ აღმოჩენა - უკვე მეორე წელიწადია ეს ბიჭი ყველას უმტკიცებს თავის ჩინებულ შესაძლებლობებს. აღარაფერს ვამბობთ გუნდის ერთი-მეორეზე უკეთეს ნახევარმცველებზე: ფლანგებზეც ჩინებული ფეხბურთელები არიან (**გრიგოლ დოლიძე, გიზო ჯელაძე**), საყრდენიც საიმედოზე მეტია (**დენის დობროვოლსკი**) და "შემქმნელები" ხომ საერთოდ გამორჩეულნი არიან (**დავით ბოლქვაძე, გიორგი დეკანოსიძე**).

ზესტაფონი



გოგა ფიფია

"დინამოსი" არ იყოს, "ზესტაფონსაც" არ ეპატიება ორი სეზონი უტიტულოდ ასპარეზობა. თანაც, ამ შემთხვევაშიც გუნდს ფინანსების მხრივ არანაირი პრობლემა არ აქვს; ჰყავს საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი (**თემურ მახარაძე**), არაერთი ჩინებული ფეხბურთელი (ქართველიცა და ლეგიონერიც), მაგრამ... შედეგი არ ჩანს! რა თქმა უნდა, როცა გუნდი თასის ფინალში ზედიზედ სამჯერ დამარცხდება, იღბალზეც შეიძლება ლაპარაკია, მაგრამ ამ ერთობ სიმპათიურ გუნდს მაინც რაღაცა აკლია. იმედია, ახალ სეზონში ეს "მაინც" მოიხსნება დღის წესრიგიდან და "ზესტაფონიც", ბოლოს და ბოლოს, შეძლებს თავისი ერთგული და, რაც მთავარია, მრავალრიცხოვანი ქომაგების გახარებას. ერთიც არის - თემურ მახარაძეც იმსახურებს ერთ ტიტულს! ისე, მართლაც უცნაურია - ამ კაცს სადაც უმუშავია, ყველგან თავის ხელი დაუტყვია, მაგრამ დიდხანს არ აჩერებდნენ. იმედია, "ზესტაფონში" სხვაგვარად ფიქრობენ და მახარაძემაც უნდა დაამტკიცოს, რომ მის გუნდს რეალურად შესწევს უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა. მით უმეტეს, რომ შემადგენლობის მხრივ, "ზესტაფონი" საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა. დავინყოთ მეკარით - **გრიგოლ ჭანტურია** კოლეგებში ერთ-ერთი გამორჩეულია; დაცვაში ერთიმეორეზე გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ - **სევასტი თოდუა, შალვა ღონღაძე, ედიკ საჯაია, კახა ჩხეტიანი;** ნახევარდაცვაში უნივერსალი **როინ ონიანი** და ჩინებული ლეგიონერები (**კესანი, ვიერა**) არიან; თავდასხმაში უბერებელი **ზურაბ იონანიძე** და ერთობ საინტერესო ფორვარდი **გაგა ჩხეტიანი.** ამას გარდა, არ დავივიწყოთ ის ფაქტიც, რომ "ზესტაფონში" თამაშობს საქართველოს 19 თუ 21 წლამდე ნაკრების არაერთი ფეხბურთელი (**კვასხვაძე, ბენაშვილი, ხიდეშელი, სანაია, დაუშვილი**).

დაბოლოს, კიდევ ერთ ფეხბურთელზეც, რომლის თამაშზეც ბევრად იქნება დამოკიდებული "ზესტაფონის" წარმატება-წარუმატებლობა. **გოგა ფიფიაზე** მოგახსენებთ, ერთობ ნიჭიერ ახალგაზრდაზე, ვისაც თამაშის ბედის გადაწყვეტა ინდივიდუალურად შეუძლია.

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

ვიტ ჯორჯია

არავინ იცის, წინა ჩემპიონატის გამარჯვებული ვინ გახდებოდა, "ვიტ-ჯორჯიას" თავის ლიდერები რომ შეენარჩუნებინა. აბა, გაიხსენეთ, პირველ წრეში "ვეტერინარები" როგორ თამაშობდნენ? თანაც, **ნესტორ მუმლაძის** გუნდს, რაც გვახსოვს, ერთი უცნაური ჩვეულება დასჩემდა: მცხეთაში ყველა ფავორიტს კუდით ქვა უნდა ასროლინოს და ამის "პარალელურად"... აშკარად სუსტ მეტოქეებთან ქულები უნდა გაფლანგოს. "ვიტ-ჯორჯიას" მეორე უცნაურობაც" სჭირს: ამ გუნდის შემადგენლობაში საკმარისია კონკრეტულმა ფეხბურთელმა გაიბრწყინოს, ერთი ან სულაც ნახევარი წლის შემდეგ... უკვე სხვაგან რომ ვხედავთ. არ გვინდა ვინმე გამოგვრჩეს, მაგრამ შეეცდებით ის ფეხბურთელები ჩამოვთვალოთ, ამ ბოლო წლებში "ვიტ ჯორჯიადან" რომ წავიდნენ: **ალეკო გოგობერიშვილი, გიორგი ყიფიანი, ლევან მელქაძე, სანდრო იაშვილი, ოთარ მარცვალაძე, დავით იმედაშვილი, დავით დიმელეაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, ლაშა ნოზაძე, გიორგი ადამია, ალექსანდრე ინწკირველი...** ახლა მათ რიცხვს **ოლეგ გველესიანი** მიემატა, იანვარში ბელგიაში აპირებს გადასვლას გუნდის საუკეთესო ფორვარდი **ნიკა გელაშვილი** და ასეა დაუსრულებლად. მაგრამ, ყოველი სეზონის დაწყების წინ "ვიტ-ჯორჯიას" მაინც ფავორიტებში მოიხსენიებენ. ასე იქნება ახლაც - ყოველ შემთხვევაში, პირველ წრეში მცხეთაში თამაში ყველასთვის უდიდესი თავსატეხი იქნება. მით უმეტეს, რომ ნესტორ მუმლაძის გუნდში კვლავაც არიან ისეთი ფეხბურთელები, ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე გამორჩეულებად რომ ითვლებიან: **გრიგოლ ბედიაშვილი, ლექსო კვახაძე, დავით ლომაია,** ძმები **დათუნაიშვილები, ზაზა სახოკია.** "ვიტ ჯორჯიას" კიდევ ერთი დადებითი შტრიხი სათამაშო სტილია - გუნდში მისვლის დღიდან მუმლაძე აშკარად შემტევ ტაქტიკას (4-3-3) მისდევს და ამ მხრივ, "ვეტერინარები" საქართველოს ჩემპიონატში უდავოდ გამორჩეულები არიან. კიდევ ვიმეორებთ - დღევანდელი კონტიგენტით "ვიტ ჯორჯიას" თამამად შეუძლია სამეულში მოხვედრაზე იფიქროს, თუმცა ზამთრის შესვენების მერე რა მოხდება, არავინ იცის...

სიონი

ახალი სეზონის დაწყების წინ ყველაზე ბევრი ცვლილება სწორედ "სიონში" მოხდა. კონტრაქტი დაუმთავრდა მთავარ მწვრთნელს, გუნდიდან წავიდა ლამის ორი ათეული (!) ფეხბურთელი და, ამას გარდა, სერიოზული ცვლილება-გადაადგილებები მოხდა კლუბის ხელმძღვანელობაშიც. ქვეყნის ექს-ჩემპიონი მედლებისთვის ბრძოლაში რომ ვერ ჩაერთვება, ცხადია; თუმცა არც გავარდნის საშიშროება უნდა დაემუქროს და საერთოდაც, ბოლნისში იოლი გასეირნება არავის ელის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, "სიონის" ახალი მწვრთნელი **ნოდარ აკობია** ერთობ გამოცდილი სპეციალისტია და მუშაობა რომ შეუძლია, ორი წლის წინათ "ლოკომოტივშიც" დაამტკიცა. სხვა საქმეა, თუ როგორ დაიმკვიდრებენ ადგილს ბოლნისური კლუბის ძირითადში ახალწვეულები - **ზვიად ქუთათელაძე, მანუჩარ კვიციანი, გიორგი თავბერიძე** და **გიორგი რეხვიაშვილი.** ცალკე გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი ახალწვეული - **ვალერი გაგუას** ყველა მონაცემი აქვს, გუნდის ლიდერობაზე პრეტენზია რომ განაცხადოს. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული "სიონის" კამერუნელ ლეგიონერებზეც - **ჩასემს, ბოიომოსა** და **ევოჩეს** უკვე საკმარისი დრო ჰქონდათ აქაურობას რომ შეჩვეუბოდნენ. მოკლედ, "სიონი" შარშანდელ შედეგს ვერ გაიმეორებს, მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, მთლად ხელნამოსაკრავი გუნდიც არ უნდა იყოს.

დილა

გასულ ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი ქუთაისის "ტორპედომ" დაიკავა. თანმიმდევრობით მივყვებით და ახლაც ქუთათურების საყვარელი გუნდის მიზნებსა და პერსპექტივაზე უნდა გვემსჯელა. მაგრამ... "ტორპედოს" ნაცვლად უმაღლეს ლიგაში გორის "დილა" ითამაშებს... ჰო, "დილა" მართლაც უცნაური გუნდია - ალბათ, ყველაზე ხშირად მას "უმოგზაურია" უმაღლესიდან პირველ ლიგაში და პირიქით. ახლა კი, მოულოდნელი საჩუქარი მიიღეს და ისევ უძლიერესთა რიგებში იქნებიან. ერთი შეხედვით, ყველასთვის ნათელია, რომ "დილას" კვლავაც მოკრძალებული მიზანი ექნება - უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. ჩვენი აზრით, კი ეს მიზანი გუნდმა უნდა შეასრულოს. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელ **მამუკა ვარდოსანიძეს** გუნდში ისეთი ფეხბურთელები ჰყავს, უშუალო კონკურენტებთან შეხვედრებში მათმა გამოცდილებამ გადამწყვეტი სიტყვა რომ უნდა თქვას. **თამაზ ილურიძე, გიორგი ბალაშვილი, ქრისტეფორე შატაკიშვილი, ზაზა ლაცაბიძე, საბა სულთანიშვილი, ბექა ჩიტაია** - აი, ამ ხალხმა უნდა მისცეს მაგალითი ახალგაზრდა პარტნიორებს და "დილამაც" თამაშით უნდა დაამტკიცოს, რომ უმაღლეს ლიგაში ასპარეზობას იმსახურებს.

ლოკომოტივი

უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ამ სეზონში ბევრ ფავორიტს გაამწარებს. იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ გუნდისთვის სასიკეთოდ უნდა იმოქმედოს იმ ფაქტმა, სტადიონს ახალი პატრონი რომ გამოუჩნდა. არც ის დავივიწყოთ, რომ "ლოკომოტივის" მწვრთნელებიც ახალგაზრდული ასაკის არიან - **გიორგი კიკნაძემ** და **ზაზა ზამთარაძემ** 30-ს ახლახან გადააბიჯეს. ამ "დუეტმა" წინა სეზონიდან დაგვამახსოვრა თავი - მათი გაწვრთნილი "ოლიმპი" ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა (შედეგზე რომ აღარაფერი ვთქვათ), თუმცა იქიდან წამოსვლა მოუწიათ. რა თქმა უნდა, "ლოკომოტივი" და "ოლიმპი" ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან (უპირველეს ყოვლისა, შემსრულებლებით), მაგრამ ამ მწვრთნელებს ჩინებული შანსი ეძლევათ თავიანთი შესაძლებლობების რომ გამოავლინონ. ახალგაზრდული გუნდიაო, ვთქვით და არც ის ორი გამოცდილი ფეხბურთელი დაგვავიწყდეს, "ლოკომოტივში" ლიდერობა რომ უნდა იტვირთოს: **დავით გვარამაძე** და **გიორგი მიქაძე.** იმედი გვაქვს, რომ თავის შესაძლებლობებს სრულად წარმოაჩენს ნიჭიერი ფორვარდი **გიორგი ალავერდაშვილი,** რომელსაც გასული სეზონი სხვადასხვა მიზეზის გამო, ფაქტობრივად, გაუცდა. დაბოლოს, "ლოკომოტივისა" და, საერთოდ, ქართული ფეხბურთის "მარგალიტზეც" - **ლევან ყენიაზე.** ამ 17 წლის ბიჭზე ბევრი დაიწერა, ახლაც, თუ არ ვცდებით, "შალკეში" მოწყობას ცდილობს; რა თქმა უნდა, გაგვიხარდება ქართველი ფეხბურთელის მაღალი დონის გუნდში ტრანსფერი, მაგრამ ცოტა ნაადრევი ხომ არ იქნება ყენიასთვის? თანაც, "ეგოისტური" ზრახვებიც გვამოძრავებს - აქ დავტკბებოდით ჭაბუკი ტალანტის ასაკთან შეუფერებელი დიდოსტატური თამაშით...

ბათუმი

ზემოთაც აღვნიშნეთ: უმაღლეს ლიგას ორი გუნდიღა შემორჩა, პირველიდან დღემდე უძლიერესთა შორის რომ ასპარეზობს. ერთ-ერთი სწორედ "ბათუმია", რომლის პერსპექტივებიც ერთობ ბუნდოვნად გვეჩვენება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გუნდს წესიერად შეკრებაც არ გაუვლია და პროფესიულ ლიგაშიც ფინანსური გარანტიები სულ ბოლოს წარადგინა. არადა, თუ გახსოვთ, წინა სეზონის მეორე წრე გუნდმა შესანიშნავად დაიწყო, **ამირან გოგიტიძე** "თვის მწვრთნელადაც" დავასახელეთ, მაგრამ ამჟამად სულ სხვა სიტუაციაა. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ აჭარის ხელსიუფლებას გუნდისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება აქვს, თუმცა რეალურად "ბათუმს" დალხენილი ცხოვრება რომ არ ელოდება, ფაქტია. ერთიც არის - ბოლო წლები "ბათუმის" ძირითად ბირთვს მონვეული ფეხბურთელები შეადგენდნენ; აი, თუნდაც გასულ სეზონში რომ იყო, მაგრამ გუნდიდან წავიდნენ **გიორგი ნერგაძე, უჩა ლობჟანიძე, ვახტანგ კვარაცხელია, კობა შალამბერიძე** და "ბათუმიც" ერთობ შესუსტებული შემადგენლობით ხვდება ახალ ჩემპიონატს. ამირან გოგიტიძემ ჩვენზე კარგად იცის, რომ ორიოდე გამოცდილი ფეხბურთელით (**ვიტალი დარჩიძე, დავით გალოგრე**) უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაუჭირდება და ალბათ, ახლა თუ არა, ზამთრის სატრანსფერო ფანჯარას" მაინც გამოიყენებს. "ბათუმის" შემთხვევაშიც ერთადერთი პოზიტიური ფაქტი ის გახლავთ, რომ გარკვეული გაუგებრობების გამო, ფეხბურთს ჩამოშორებული პერსპექტიული მეკარე **ირაკლი თოთლაძე** კვლავაც გუნდშია.

ბორჯომი

ფავორიტებო ძრწოდეთ - ისედაც სოლიდური "ბორჯომი" ნამეტნავად გაძლიერდა და ვინ იცის, ჩემპიონატის ყველაზე დიდი სურპრიზიც ამ გუნდმა არ შემოგვთავაზოს. ფავორიტები შემთხვევით არ გვიხსენებია - საკურორტო ქალაქიდან ქულის წამოღება ისედაც ყველასთვის სანატრელი იყო და ახლა მით უმეტეს, გაუჭირდებათ მედლების კანდიდატებს (ერთი გუნდის გამოკლებით). მწვრთნელის ფაქტორიც არ დავივიწყოთ - **ვლადიმერ ხაჩიძემ** მუშაობა რომ იცის, არაერთხელ დაუმტკიცებია სხვადასხვა გუნდებთან. ახლა კი, როცა მის განკარგულებაში ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ერთდროულად 10-12 არცთუ ურიგო ფეხბურთელია, სავსებით რეალურია, რომ უკვე სერიოზულ მიზნებზეც იფიქროს. ჯერ მარტო ნახევარდაცვის ხაზი ავიღოთ: **შოთა ბაბუნაშვილს, გიორგი ნერგაძესა** და **შოთა გრიგალაშვილს** ნებისმიერი გუნდი ინატრებდა (ერთი გუნდის გამოკლებით). გამოცდილება და ოსტატობა "ბორჯომის" არც სხვა ფეხბურთელებს დაეწუნებათ: **ლაშა ჭელიძეს, ზვიად სტურუას, ლევან აკობიას, ლევან მერებაშვილს, ბექა შეყრილაძეს, გიორგი მემარნიშვილს;** საინტერესო ფეხბურთელია "ბორჯომის" ერთ-ერთი ლიდერი **შოთა ჯიქიაც.** მოკლედ, წელიწადის ნებისმიერ დროს ბორჯომში ჩასვლა ყველა გუნდისთვის პრობლემატური უნდა იყოს (აქაც, ალბათ, ისევ და ისევ, იმ ერთი გუნდის გამოკლებით).

მერანი

თამაზ კოსტავა რა დონის ფეხბურთელი იყო, მტკიცება არ სჭირდება; სამწვრთნელო ასპარეზზეც გარკვეული წარმატებები ჰქონდა; მაგრამ, ამ პიროვნების მიმართ უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ვფიქრობთ, მის "მერანს" ერთობ რთული სეზონი ელის. პირდაპირ რომ ვთქვათ, "მერანის" პროგრამა-მაქსიმუმიცა და მინიმუმიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. კოსტავამ გუნდი გასული სეზონის დასრულებისთანავე ჩაიბარა და ფეხბურთელთა უმრავლესობაც თავის ყოფილი გუნდიდან ("ნორჩი დინამოელი") წამოიყვანა, რომელთა ასაკიც 17-18 წელიწადია. თუმცა მარტო ჭაბუკებით (როგორი პერსპექტიულებიც არ უნდა იყვნენ) ფონს რომ ვერ გავა, კოსტავას კარგად მოეხსენება და გამოცდილ ფეხბურთელებთან (**ბექა ნოზაძე, თენგიზ კობიაშვილი**) ერთად მეკარე **რევაზ თევდორაძე** და მცველი **დავით გიგაურიც** დაიმატა. შეგახსენებთ, რომ თევდორაძეცა და გიგაურიც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატები არიან. "მერანზე" საუბარს კი იმით დავასრულებთ, რომ ახალ სეზონში გუნდი საშინაო თამაშებს ახალ, კომფორტულ სტადიონზე ჩაატარებს. ეს კი გუნდისთვის დამატებითი სტიმული უნდა გამოდგეს.

სპარტაკი

აი, ასეთი სახელწოდებით იასპარეზებს ცხინვალის გუნდი ახალ სეზონში; გუნდი, რომელიც წმინდა პოლიტიკური მოსაზრებებით დაუშვეს უმაღლეს ლიგაში. ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა და კულუარებში ხმამაღლა საუბრობენ იმის შესახებ, რომ ცხინვალის გუნდს უმაღლესი ლიგიდან არავინ გააგდებს. სხვისი არ ვიცით, მაგრამ ამ მოსაზრებას ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით. ბოლოსდაბოლოს, ერთი წლის წინათ არ იყო, "ცხინვალიცა" და "სოხუმიც" სპორტული პრინციპების სრული დაცვით რომ გამოეთხოვნენ უმაღლეს ლიგას? ახლა კი რა უნდა ვთქვათ, ფაქტობრივად, ერთი თვის წინათ ჩამრყალიბებულ-შეკონწიწებულ გუნდზე. კი, ამ გუნდის მწვრთნელის **კობა ჟორჟიკაშვილის** კვალიფიკაციაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ, მაინც ვფიქრობთ, რომ "სპარტაკს" დიდი ძალისხმევა დასჭირდება თავისიზე ბევრად გამოცდილ მეტოქეებთან საპაექროდ. ჟორჟიკაშვილმა სეზონის დაწყებამდე გუნდში არაერთი ფეხბურთელი გასინჯა, თუმცა ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პროცესი აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდება. ჯერჯერობით კი "სპარტაკში" ბევრი უცნობი ფეხბურთელია, თუმცა სამი ისეთი მოთამაშეც არის, უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის დიდი გამოცდილება რომ აქვს: **ბესო კოდალაევი, დიმიტრი პარამონოვი** და **დავით გოგოლაძე.**

ფესხეთი

უმაღლესი ლიგის დებიუტანტისგან, წესითა და რიგით, მედლებისათვის ბრძოლას არავინ ითხოვს, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ "ფესხეთი" ღირსეულად ითამაშებს ტიტულოვან და გამოცდილ მეტოქეებთან. ისე, გამოცდილება ვახსენეთ და ამ მხრივ ახალციხელებს საწუწუნო არაფერი აქვთ. ეგ კი არა, "ფესხეთი" უმაღლეს ლიგაში ყველაზე ასაკოვანი გუნდია! ახლა, მთავარია, რომ გუნდის მწვრთნელმა **კობა თედიაშვილმა** თავისი ფეხბურთელების უდიდესი გამოცდილება მაქსიმალურად გამოიყენოს. ჰო, ეგრეა, არცერთ სხვა გუნდში 30 წლის გადაცილებული ამდენი მოთამაშე არ არის; თანაც, **ზაზა კობესაშვილს, მამუკა რუსიას, პაატა გვირჯიშვილს, ვახტანგ აკოფიანსა** და **გიორგი თურმანიძეს** ეს გამოცდილება უმაღლეს ლიგაში გატარებული არაერთი სეზონითაც (სხვა გუნდებში, რა თქმა უნდა) დაუგროვდათ. "ფესხეთს" სერიოზული მიზნები რომ აქვს, საკონტროლო თამაშებშიც გამჩნდა, სადაც ახალციხელები ღირსეულად გამოიყურებოდნენ. ისიც ფაქტია, რომ გუნდი აშკარად გააძლიერა ასევე გამოცდილმა ახალწვეულებმაც (**გიორგი სომხიშვილი, ალეკო კიდარაშვილი**); მოკლედ, "ფესხეთი", გუნდი-გამოცანად უნდა მოგვეევლინოს.

აკაკი დევაძე

მგლები

ქართულ საფეხბურთო რუკაზე აღარც ლანჩხუთია, აღარც - ფოთი, აღარც - სამტრედია და, თქვენ წარმოიდგინეთ, აღარც - ქუთაისი! იქ, სადაც ფეხბურთი დუღდა და გადადუღდა, სადაც უძველესი და უდიდესი ტრადიციები იყო, ახლა, ფაქტობრივად, აღარაფერია. კიდევ კარგი, უმაღლეს ლიგას სამგრელოს რეგიონის გუნდი დაუბრუნდა; რეგიონის, სადაც ფეხბურთი ძალიან უყვართ და, რაც მთავარია, ამ თამაშის თითოეულ ნიუანსში ზედმიწევნით ერკვევიან. ჰო, ზუგდიდი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა! ბნიშვნელობა არა აქვს, "დინამოს", "ოლიმპისა" თუ "მგლების" სახელით; მთავარია, რომ დაბრუნდა! დაბრუნდა იქ, სადაც უნდა ყოფილიყო; თანაც გუნდსაც ისეთი სახელი აქვს, მეტოქეს თამაშამდე რომ დააშინებ...

"მგლები" უმაღლეს ლიგაში დიდხანს აპირებს დარჩენას; ისე კი, წარმოგვიდგენია, რა აჟიოტაჟი იქნება, როცა ზუგდიდში სათამაშოდ თბილისის "დინამო" ჩავა - ალბათ, ისეთივე სიტუაცია იქნება ტრიბუნებზე, როგორც 90-იანი წლების დასაწყისში. "მგლებს" ერთობ საინტერესო მწვრთნელი ჰყავს - **ბესიკ შეროზია,** ადგილობრივი კაცია და ფეხბურთელობის დროს "ოდიშის" შემადგენლობაშიც არაერთხელ გამოუჩენია თავი. ისიც მისასალმებელია, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ სხვადასხვა გუნდებში მიმობნეულ ზუგდიდელ ფეხბურთელებს (**ზურაბ ექონია, გელა ხუბუა, ზამირ ჯანაშია**) მშობლიურ ქალაქში უხმო. თუმცა "მგლების" სახე, ქარიზმა, კოლორიტი, რა ვიცით, რაც გნებავთ, ის დაარქვით, ერთი კაცია - **აკაკი დევაძე**! დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე კვლავაც უმაღლეს ლიგაშია. დევაძეს ფეხბურთი ყოველთვის და... ყველგან უყვარდა: "თბილისის "დინამოშიცა" და ზესტაფონის "მარგვეთშიც", თბილისის "შევარდენშიც" და ფოთის "კოლხეთშიც", ისრაელშიცა და რუსეთშიც, საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც და... პირველ ლიგაშიც! შარშან, ერთი ხანობა, ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა - უცხოური ვარიანტი რომ ჩაეშალა; მაგრამ, კიდევ კარგი, რომ "მგლებში" აღმოჩნდა; უკვე მერამდენედ არ ითაკილა პირველ ლიგაში თამაში და ზუგდიდთან ერთად უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა. ასაკი? მერე რა, რომ ნოემბრის ბოლოს 36 წლის იქნება - კაკოს ამბავი რომ ვიცით, სულ ცოტა, სამი-ოთხი წელიწადი კიდევ ითამაშებს. თანაც, ისე, მას რომ შეუძლია...

გვერდები მოამზადა
გია ტუსაშვილმა

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. I ტური

ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია

10 აგვისტო. 17:30. ზესტაფონი. ცენტრალური.
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი
ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, ლ. მიქელაძე

მესხეთი-მგლები

10 აგვისტო. 17:30 ახალციხე. ცენტრალური.
არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი
ასისტენტები: დ. კურტანიძე, ი. კაკაბაძე

ლოკომოტივი-ამერი

10 აგვისტო. 18:00. თბილისი. მ. მესხი.
არბიტრი: გ. ვადაჭკორია
ასისტენტები: ს. სპიცინი, ზ. ერქვანია

ოლიმპი-დინამო

11 აგვისტო. 17:30. რუსთავი. ფოლადი.
არბიტრი: ლ. ფანიაშვილი
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე

სიონი-სპარტაკი

11 აგვისტო. 17:30. ბოლნისი. თ. სტეფანია.
არბიტრი: კ. ჭაჭუა
ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, კ. გაბრიაძე

დილა-ბათუმი

11 აგვისტო. 17:30. გორი. თ. ბურჯანაძე.
არბიტრი: პ. დოგრაშვილი
ასისტენტები: თ. ხუჭუა, ი. მაჩიტიძე

ბორჯომი-მერანი

12 აგვისტო. 17:30. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი.
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი
ასისტენტები: ლ. თორდია, ზ. ფიფია

პრესკონფერენცია

უპრინი: რაპიდამდე ოლიმპია

ტრადიციისამებრ სეზონის დაწყებამდე თბილისის "დინამომ" მედიის წარმომადგენლებთან მოაწყო შეხვედრა. გუშინდელი შეხვედრა იმით გამოირჩა სხვათაგან, რომ "დინამომ" და "ზეკომ" თანამშრომლობა ერთი წლით გააგრძელეს და ეს ოფიციალურად სწორედ ამ შეხვედრაზე დაადასტურეს კონტრაქტზე ხელის მოწერით.

მედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ კლუბის ხელმძღვანელები ბუბა ტყავაძე და ამირან ღიბრაძე, მწვრთნელები დუშან უპრინი და კახა კაჭარავა, მოთამაშეები ოლეგ გველესიანი, რომან დობეში, დიდიე ოვონო და ჯორჯ აკირემი, აგრეთვე "ზეკოს" საქართველოს წარმომადგენლობის მესვეურები - ილჰამ ბაირამოვი და მეჰმეთ მელექი.

ბუბა ტყავაძე: - წინა წლების თანამშრომლობა "ზეკოსთან" საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა, ამიტომაც ორივე მხარემ მოისურვა მისი კიდევ ერთი წლით გახანგრძლივება. ორი წლის წინათ, როცა ამ კომპანიასთან გავაფორმეთ ხელშეკრულება, მესამე ადგილზე გავედით, შარშან - მეორეზე, ვფიქრობ პირველობის დროც მოვიდა...

- წლეულს ჩემპიონობისთვის ალბათ, ისევ ის გუნდები იბრძოლებენ, ვინც შარშან იბრძოდა...

- ამ ეტაპზე გუნდის დაკომპლექტება დასრულებულია. თუ ახლო მომავალში ვინმე დაგვჭირდება, დავიმატებთ...

- ისევე, როგორც "რაპიდთან", "ვადუცთანაც" პირველი მატჩი სტუმრად უნდა გვეთამაშა, მაგრამ უეფამ სხვაგვარად გადაგვიწყვიტა. ახლაც, სამ ავსტრიულ გუნდს უწევდა შინ თამაში და ერთს - გასვლაზე, ამიტომაც, ასე ვთქვათ თანაბრად გაყვეს და ორ გუნდს ათამაშებენ შინ, ორს - სტუმრად. ამის გამო მოგვიწია პირველი მატჩის თბილისში თამაში...

ილჰამ ბაირამოვი: - მოხარულები ვართ, რომ "დინამოსთან" თანამშრომლობა გავაგრძელეთ. წინა წლებში რასაც ველოდით, იმას ვერ მოვალწიეთ, იმედია ახლა ყველაფერი გამოვა და "დინამო" შინაურ პირველობაზეც იმარჯვებს და ევროთასებზეც დამაჯერებლად იასპარეზებს...

ამის მერე ხუთწუთიან მონაკვეთში ახალწვეულებს ტყავაძემ და ღიბრაძემ გუნდის მაისურები გადასცეს და პრესკონფერენციაც გაგრძელდა - ოლეგ გველესიანს 21 ნომრიანი მაისურა ერგო, რომან დობეშს - 27 , ოვონოს - 12 და აკირემს - 26 .

დუშან უპრინი: - სასიხარულოა, რომ "რაპიდის" თამაშზე დასწრების საშუალება მომეცა. იმ დღეს ის "აუსტრიას" ხვდებოდა. პირველი ნახევარი თანაბარი იყო, მეორეში კი უპირატესობას უკვე "რაპიდი" დაეუფლა. კარგი გუნდია, ყველა რგოლში დაბალანსებული, გამოცდილი ფეხბურთელებით.

დუშან უპრინი — ნუგზარ სუარიძის ფოტო

ჩვენს წყვილში ფავორიტად "რაპიდი" ითვლება, მაგრამ ჩემი ბიჭებისა მჯერა. მომდევნო წრეში გასვლის შანსები თანაბარია, თამაში ხომ 0:0-ით იწყება...

- "რაპიდი" დავიწყებულია, გადართული ვართ "ოლიმპთან" მატჩზე. ჩემპიონეფი დაძაბული ბრძლა მოგველის...

- ჩემი მხრიდან არაკორექტულია ნაკრების მწვრთნელების გადაწყვეტილებების კომენტირება. როცა იაშვილი ჩვენთან იყო, მაშინ მას მივიჩნევდი ნაკრების პოტენციურ კანდიდატად, მაგრამ ახლა არ ვიცი, როგორ ფორმაშია იაშკა.

ბოლოს ფეხბურთელებმაც გააკეთეს მცირე კომენტარები. უცხოელთა თქმით, ყველა მათგანი გუნდში თბილად მიილეს და შესაბამისად ადაპტაციის პრობლემა არ შექმნიათ, რაც შეეხება ოლეგ გველესიანს, მისი თქმით გუნდთან ერთად ჯერ ვერ ვარჯიშობს, მაგრამ ცოტა ხანში უკვე შეძლებს ამას.

პაატა თოთაძე

პირველი ლიგა

წილი ნაყარია

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში პირველი ლიგის კლუბების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, პფლ-ის მოთხოვნები ყველა პირველლიგელმა დააკმაყოფილა და შესაბამისად, არავინ მოუკვეთავთ.

როგორც იმთავითვე იყო ცნობილი, პირველი ლიგის მონაწილენი ორ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონად გაყვეს. საიმისოდ, რომ ზონებში თანაბარი რაოდენობის მონაწილეები ყოფილიყვნენ, საჩხერის "ჩიხურას" აღმოსავლეთში მიუჩინეს ადგილი. გუშინვე კალენდრის წილისყრა მოეწყო, თარიღები უახლოეს დღეებში დადგინდება, პირველი ტური კი ასეთი იქნება:

აღმოსავლეთი	დასავლეთი
მეშაქრე (აგარა)-ნ. დინამო/მერანი 2 (თბილისი)	მეშახტე (ტყიბული)-კოლხეთი (ხობი)
გაგრა (გაგრა)-ვიტ ჯორჯია 2 (თბილისი)	ტორპედო (ქუთაისი)-მაღარ. (ჭიათურა)
ამერი 2 (თბილისი)-კახეთი (კახეთი)	ფაზისი (რაჭა)-ზესტაფონი 2 (ზესტაფონი)
ოლიმპი 2 (თბილისი)-ჩიხურა (საჩხერე)	მერანი (მარტვილი)-უნივერსიტ. (ქუთაისი)
ოლიმპიკი (თბილისი)-დინამო 2 (თბილისი)	სამტრედია (სამტრედია)-კოლხეთი (ფოთი)

გათამაშება სამ წრედ ჩატარდება, უმაღლესი ლიგის საგზური ზონების გამარჯვებულთა ფლეი ოფში გათამაშდება, ამ წყვილში დამარცხებული კი მეორე შანსის გამოსაყენებლად უმაღლესი ლიგის მეთერთმეტეადგილოსანს შეებრძოლება.

ლევან ჯანეზაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი დაბადების დღეს ულოცავენ სახელოვან ფეხბურთელს, თბილისის "დინამოს" ვეტერან მეკარეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს სერგო კოტრიკაძეს.

ზურაბ ბათიაშვილი

კიდევ ერთი ქართველი აზერბაიჯანში

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მეკარე, 27 წლის **ზურაბ ბათიაშვილი** ბოლო ექვსი თვე უგუნდოდ იყო და მისი უქმობა ახლახა დასრულდა - ბათიაშვილი აზერბაიჯანის უმაღლეს ლიგაში აღზევებულ ბაქოს "სტანდარტში" გადავიდა.

ბათიაშვილი ბოლოს ბოლნისის "სიონში" თამაშობდა და შარშან საქართველოს ჩემპიონიც გახდა. ჩემპიონთა ლიგის პირველ და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზეც ის იცავდა "სიონის" კარს - პირველ ეტაპზე ბოლნისელებმა აზერბაიჯანის ჩემპიონი "ბაქი" დაამარცხეს (2:0, 0:1) და ბათიაშვილიც ალბათ იქიდან დაამახსოვრდათ აზერბაიჯანელებს.

ამ სატრანსფერო ფანჯარაში უკვე მეორე ქართველი წავიდა აზერბაიჯანში - ზურამდე რუსთავის "ოლიმპის" პლეიმეიკერი **თორნიკე აფიაური** გადავიდა "გილანში".

დავით თავართქილაძე

დასასრულს უახლოვდება
საქართველოს პრეზიდენტის თასზე
ტრადიციად ქცეული
გათამაშება მინი-ფეხბურთში.
ადრე რაიონებსა და
ქალაქებში გამოვლინდნენ
საუკეთესო გუნდები,
რეგიონებში
გამარჯვებულები კი მთავარ
პრიზს, ფინალურ ეტაპზე,
განმუხურში გაითამაშებენ
15-20 აგვისტოს.



ზურაბ ხიზანიშვილი

რითი ჰგავს ქალარა პიუზი ნითურ მაკლიშს?

ხიზანიშვილს ჯერ საზარდული, მერე კი სხვა ურდული მიექალა

ზურაბ ხიზანიშვილის "ბლექბერნ როვერსმა" სეზონი ადრიანად დაიწყო, ინტერტოტოს თასზე იმად გაისარჯა, რომ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის საგზური მოიპოვა და იქ ფინურ "მიუპას" გაეჯიბრება. ხიზანიშვილის ადგილი კი გუნდში ჯერ არ ჩანს.

ასეა, ხიზანიშვილმა გაზაფხულზე საზარდული უოპერაციოდ მოირჩინა, ახლა სალ-სალამათია, მაგრამ **მარკ ჰიუზმა** სამატჩო განაცხადშიც კი არ შეიყვანა - ბლექბერნელებმა ინტერტოტოზე ორჯერ მოუგეს ლიტვურ "ვეტრას" და ორივეჯერ უხიზანიშვილოდ.

ჰიუზი სახელიანი კაცია. ფეხბურთელობისას ისეთი მარჯვე იყო, ლამის მთელ უელსის ნაკრებს მხრებით ეზიდებოდა. მწვრთნელ ჰიუზსაც ჩინებული რეპუტაცია აქვს და ამიტომაცაა უკვე ორი წელიწადია, ბრიტანული მედია რომ გაიძახის, "მანჩესტერში" სერ **ალექს ფერგიუსონი** უნდა შეცვალოსო.

"ბლექბერნი" დიდი გაქანების კლუბი როდია, მაგრამ ბრიტანეთში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი ჰყავს და საამსეზონოდ მიუნხენის "ბაიერნიდან" **როკე სანტა კრუსიც** კი იყიდა.

ჰიუზი იყო, "ბლექბერნს" "რეინჯერსიდან" ხიზანიშვილის აყვანა რომ ურჩია და მერე კლუბს მისი კონტრაქტის გამოსყიდვაც რომ გადააწყვეტინა. ხიზანიშვილი ჰიუზის ჯილა შეიქნა, თუმცა ზურამ ინტერვიუშიც გვითხრა, მწვრთნელთან მაინც დისტანციაზე ყოფნა სჯობს, "რეინჯერსში" **ალექს მაკლიშთან** ძმაკაცურად ვიყავი და თუ რა ზნე სჭირთ მწვრთნელებს, საკუთარ თავზე უკვე გამოვცადე - ახლოს მიგიშვებენ და მერე უცბად სათადარიგო სკამზე დაგსვამენო.

მწვრთნელიც ვალდებული არ არის, ფეხბურთელს განუმარტოს, თუ რატომ არ ათამაშებს. ასე ექცეოდა მაკლიში ხიზანიშვილს და ახლა ჰიუზიც იმავეს აკეთებს, თუმცა ამ რამდენიმე დღის წინათ ზურამ ერთი ტაიმი ითამაშა ერთ-ერთ საკონტროლო მატჩში ერთ-ერთ ქვედალიგელთან.

ხიზანიშვილი რაღაცნაირ, სპეციფიკურ ფეხბურთელად იქცა - ხან ზევით მიიწევს, ხან სამატჩო განაცხადშიც კი არ შეჰყავთ. "რეინჯერსში" გადასვლამდე შოტლანდიური პრემიერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს, "რეინჯერსშიც" თავიდან კარგად წაუვიდა საქმე, მერე კი...

წინა ბლექბერნულ სეზონში ზურა საზარდულებმა დატანჯეს, საუკეთესო ფორმაში ვერა და ვერ შევიდა, მტკივანი საზარდულებით დიდი დატვირთვით ვერ ვარჯიშობდა და გამაყუჩებლებით თამაშობდა. იქნებ, ჰიუზიც იმას ფიქრობს, რომ "ბლექბერნის" ქართველი ჯერ ვერ არის ისეთ ჯანზე, ქვა და რკინა იყოს ფორვარდებისთვის. ან, იქნებ, ზურას აკლია ის კონცენტრაცია, პრემიერლიგურ რბოლას რომ სჭირდება.

სხვა არაფერი, რაც ხდება, ფეხბურთის ნაწილია, თუმცა წლები გადის და ხიზანიშვილი ვარსკვლავურ მცველად ჯერაც ვერ ჩამოყალიბდა. არადა მას ის თვისებები აქვს, რაც ბევრს არ გააჩნია. ზურას შეუძლია, მეტოქის სვლები წინასწარ წაიკითხოს, ცაიტნოტურ და თითქოს გამოუვალ სიტუაციაში მშვიდი და გამჭრიახი იყოს.

მაგრამ აქვს კი ხიზანიშვილს თუნდაც ის ამბიცია, რომ ის საუკეთესო ქართველი მცველია? ზურასთვის ესეც დიდი გამოწვევა უნდა იყოს, სხვანაირად აბა, როგორ გახდება ვარსკვლავური მოთამაშე?

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ოლიმპის გარშემო

რატომ დატოვეს ოლიმპი ჯაფარიძემ და გუგეშაშვილმა?

ახალი სეზონის დაწყებამდე რუსთავის "ოლიმპში" ყველა და ყველაფერი შეიცვალა - მწვრთნელიც, შემადგენლობაცა და ბოლო ერთ კვირაში, ხელმძღვანელობაც. გუნდის სულისჩამდგმელის, ზურაბ ჯაფარიძის კვალდაკვალ, პირველი გუნდი ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმაც დატოვა. თუმცა ამ ორ წასვლას შორის განსხვავება არსებობს და ამას ჩვენი ინტერვიუებიდან შეიტყობთ.

მამუკა გუგეშაშვილი: ოლიმპის აუქციონი მოვიგეთ და სინათლეზე მოლაპარაკება დავიწყეთ

მამუკა გუგეშაშვილი

- რა ხდება, "ოლიმპიდან" რატომ წამოხვედით?

- "ოლიმპის" აკადემიის ტერიტორია აუქციონზე გაიტანეს, რომელშიც გავიმარჯვე და ახლა უნდა ვიყიდო. თუ ეს მოვახერხე, მას და პირველი ლიგის გუნდს მივხედავ. მასში საკმაოდ დიდი თანხაა გადასახდელი და ასეთ განამაწიაში, ელემენტარულად, გუნდისთვის და აკადემიისთვის დრო აღარ დამრჩებოდა. უმაღლეს ლიგაში კი გუნდს დიდი ყურადღება სჭირდება, ასე ვერ დავეხმარები. თუ ფიქრობთ, რომ რაღაც უსიამოვნება მოხდა და ამიტომ წამოვედი, ცდებით. მე "ოლიმპის" დამფუძნებლად ვრჩები და პარტნიორებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს.

- თუმცა ფაქტია, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე "ოლიმპში" თითქმის აღარ ჩანდით.

- გუნდში როგორ არ ვიყავი, მაგრამ ჩემპიონატის შემდეგ "ოლიმპის" აკადემიასა და პირველი ლიგის გუნდზე ვიყავი გადართული. დამიჯერეთ, ჩვენს შორის გარბენილ შავ კატას ტყუილად ეძებთ.

- მე ნაღდად არ ვეძებ, სიმართლის გარკვევა მსურს. დამეთანხმებით, ასეთი ვარაუდი ბუნებრივად ჩნდება.

- ეს მცდარი ვარაუდია.

- თქვენს ინტერვიუში ბრძანეთ, რომ რუსთავის "ოლიმპის" ფარმ-კლუბი "თბილისი" აბსოლუტურად სხვა გუნდია და რუსთაველებთან ერთწლიანი ხელშეკრულება დამთავრდა. ეს თქვენი პარტნიორობის დასასრულს არ ნიშნავს?

- არ ნიშნავს, რადგან ისევ გავაფორმეთ ერთწლიანი ხელშეკრულება. ასე მოხდება ყოველ წელიწადს. თუკი მომავალი სეზონიდან ვერ შევთანხმდით, მაშინ "თბილისის" სახელით გავაგრძელებთ თამაშს. ახლა კი ჩვენ ერთად ვართ და ვთანამშრომლობთ.

- ანუ დღეს "ოლიმპს" მთლიანად მეტალურგიული ქარხანა ინახავს. გამოდის, ისაა აქციების დიდი ნაწილის მეპატრონე?

- დიახ, რა თქმა უნდა.

- ადრე გვითხარით, რომ "ოლიმპის" აკადემია გაიყიდა. ახლა ამბობთ, სკოლის ტერიტორიაზე გამოცხადებული აუქციონი მოიგეთ. იქნებ, ესეც დავაკონკრეტოთ, რა ხდება?

- ტერიტორიის ნაწილი ესტონურმა კომპანიამ ადრე მართლა იყიდა. ეს ის ადგილია, სადაც მოთავსებულია აუზი, კაფე-ბარი და მინი-მოედნების ნაწილი. ჩვენ დაგვრჩა სკოლის შენობა, სტანდარტული მოედანი და ტერიტორია, სადაც ადრე სტადიონის აშენებას ვაპირებდით. ახლა ამ ნაწილზე ჩატარებული აუქციონი მოვიგეთ და ტერიტორია უნდა ვიყიდოთ. თუკი ვიყიდით, იქ გადავიტანთ აუზს და კიდევ ორ მოედანს ავაშენებთ.

- მართალია, თითქოს "სინათლის" სტადიონის მეპატრონესთან წილის გამოსყიდვაზე მოლაპარაკებას აწარმოებთ?

- რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას შევხვდი და შევთანხმდით, რომ პირველი ლიგის გუნდი "სინათლეზე" ივარჯიშებს და ითამაშებს. სტადიონისადმი ინტერესი ისევ მაქვს და თუ შევთანხმდით, ასეთ შემთხვევაში, შეიცვლება სტადიონის საფარი, მოეწყობა ორი მინი-მოედანი და ტრიბუნებზე ინდივიდუალური სკამები დაიგება.

მერაბ მამულაშვილი

ზურაბ ჯაფარიძე: საჭირო გახდა და ძოძუაშვილის საქმეში ერთხელ ჩავერიე

ზურაბ ჯაფარიძე

- ბატონო ზურაბ, გუნდის დატოვება თქვენი სურვილი იყო თუ იძულებითი ნაბიჯი გადაგადგმევინეს?

- მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა დამიბარა და მითხრა, არის მოსაზრება, გუნდს დროებით უნდა ჩამოშორდეო და მეც წავედი.

- რატომ, მიზეზი არ უთქვამს?

- აღარ დავინტერესებულვარ, კირკიტი და გარკვევა არ მიცდია. ჩემი საქმე გავაკეთე, რუსთავს უმაღლესში გუნდი დავუბრუნე, "ოლიმპი" ქვეყნის ჩემპიონი გახდა, სტადიონი შევარემონტეთ, ბევრი სასიკეთო საქმე გავაკეთეთ და ეტყობა, ჩემი მისია ამონურულია. მეტალურგიულის დირექტორი კითხვებით აღარ შემინუხებია. სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს.

- თქვენი გუნდში ყოფნა ვის არ აძლევდა ხელს?

- არ ვიცი, მაგრამ ტყუილად არ გამიშვებდნენ. ვიცი, რომ ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია არ იყო ამით დაინტერესებული. არც მაინტერესებს, ვის არ მოვდიოდი თვალში. სხვათა შორის, ჩვენმა სპონსორმა, ჯოზეფ კენიმ დამირეკა და გაოცებული იყო, მკითხა, რა მოხდა, უჩემოდ ვინ გაგათავისუფლაო. თუმცა ასე აჯობებს, ის ინგლისშია, მე საქართველოში.

- მოულოდნელი გადაწყვეტილება კი იყო.

- რა თქმა უნდა, მოულოდნელი იყო. გუნდში ტყუილად არ ვიყავით, ბოლოს და ბოლოს, "ოლიმპი" გინესის რეკორდებში შევიდა, საკმაოდ მცირებიუჯეტიანი და ამასთანავე, ერთი წლის გუნდი, ქვეყნის ჩემპიონი გახდა. მართალია, წლეულს ლიდერებმა დაგვტოვეს, მაგრამ საკმაოდ სოლიდური მოთამაშეები შევიძინეთ, გუნდს პოტენციალი ნაღდად აქვს. იმედია, "ოლიმპი" წლეულსაც ლიდერებში იქნება.

- მეტალურგიული ქარხანა "ოლიმპს" ისევ დააფინანსებს? დაშლა ხომ არ ემუქრება?

- არა, რატომ უნდა დაიშალოს? დააფინანსებენ.

- თქვენს წასვლაზე მკვეთრი კომენტარი გააკეთა "ოლიმპის" ყოფილმა მწვრთნელმა რეზო ძოძუაშვილმა და არ დამალა, რომ ამ ფაქტმა ძალიან გაახარა. ასეთი რა კონფლიქტი მოგვიდათ, დღემდე ძოძუაშვილი რომ ვერ მოლბა?

- გაახარა? ეს ხალხი გასაშვები კი არა, დასაჭერები არიანო, ასე თქვა. ამ დროს, პირადად მე არანაირი კონფლიქტი არ მქონია. ეგაა, რომ მისი მუშაობით უკმაყოფილო ვიყავით. გუნდმა პირველ წრეში გაცილებით უკეთესი შედეგი და ფეხბურთი აჩვენა, ვიდრე ძოძუაშვილის მუშაობის დროს. კი ბატონო, მაგარი სპეციალისტის სახელი აქვს, ლატვიაში წარმატებით მუშაობდა, მაგრამ მეორე წრეში ვერც ერთ კონკურენტს შინ ვერ მოვუგეთ და გასვლაზეც პირველ წრეში უფრო მეტი ქულა დავაგროვეთ. არადა, ზამთარში უფრო გავძლიერდით.

ბუნებრივია, დავინტერესდით, რა ხდებოდა. ამაზე გადაირია და გუნდის ერთ-ერთ ხელმძღვანელს დაარტყა. როცა კაცი კრიტიკაზე ასე რეაგირებს, რა უნდა გვექნა? მაშინვე ვუშვებდით, მაგრამ რამდენიმე მიზეზით დავტოვეთ. ჯერ ერთი, ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტური რჩებოდა და თვითონაც გვთხოვა, სეზონის ბოლომდე მაცალეთ და თავად წავალო. შევთანხმდით, რომ ამაზე პრესასთან არაფერს ვიტყოდით, მაგრამ სამ დღეში პირობა დაარღვია და ინტერვიუ მისცა, ჩემს საქმიანობაში ხელმძღვანელობა ერევაო. მერე კი ინტერვიუებში ამბობდა, რატომ გამიშვეს, ვერ გავიგეო.

- სხვათა შორის, თქვენს ჩარევაზე მარტო ძოძუაშვილმა არ ილაპარაკა, მანამდე მოხსნილმა გიორგი კიკნაძემაც იგივე დაგაბრალათ.

- დიახ, ძოძუაშვილის საქმეში ჩავერიე, თუმცა, მხოლოდ ერთხელ. თბილისის "დინამოსთან" თამაშამდე ლამის მთელმა გუნდმა დამირეკა, სეთურიძეს შემადგენლობაში არ აყენებს და იქნებ, აზრი შეაცვლევინოო. ამ დროს, გიორგი ფორმაში იყო, არ ავადმყოფობდა და რატომ სვამდა სკამზე, ვერ გავიგე. მე დავიჯინე და შემადგენლობაში მხოლოდ ამის შემდეგ დააყენა. იმ დღეს სეთურიძე მოედანზე საუკეთესო იყო და თუ ეს ჩარევა არ იყო საჭირო, მითხარით, რა დავაშავე. ჰკითხეთ კილასონიასაც, დღეს ხომ არ ვარ მისი უფროსი, ვერეოდი მის საქმიანობაში? ძოძუაშვილმა მზარდი ბიჭი, კახელიშვილი რომ ჩაკლა და ხუბუა სკამზე რომ უმიზეზოდ დასვა, ამაზე თვალი უნდა დამეხუჭა? თავიდან გვეგონა, რომ ძოძუაშვილი სულ სხვა ხალხს მოიყვანდა, გამეზარდაშვილსა და მისი დონისას. ამაშიც შევცდით, ისეთები შეგვაჩეჩა, ვერც ერთმა ვერ გაგვაძლიერა და, რაც მთავარია, თქვენს ნახსენებ ინტერვიუში მწარედ შეგვეხო და ყოველგვარი პირობები დაარღვია. ამას კი უპასუხად ვერ დავტოვებდი.

- გულწრფელად თქვით, კიკნაძის გაშვება არასდროს გინანიათ?

- გამოცდილი ძოძუაშვილი უკეთესი მწვრთნელი რომ გვეგონა, ამაში შევცდით. პირიქით გამოვიდა, გაცილებით ნიჭიერი და მზარდი სპეციალისტი გაგვიშვია. კიკნაძე და ზამთარაძე კარგი პიროვნებებიც არიან და ნიჭიერი მწვრთნელებიც, მაგრამ, უცებ, რადიკალურად მოითხოვეს პირობების გაუმჯობესება და ეს არ მესიამოვნა, თორემ მათთან დაპირისპირებული არასდროს ვყოფილვარ.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISP ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიდგი ნაბიჯი დასუფთავებლად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

ინგლისი. პრემიერლიგა 2007/08. განაცხადები

არსენალი

დაარსდა 1886 წელს, სტადიონი "ემირატსი" (60 432)

მეკარეები

1. ჯენ ლეჰანი (გერ)	10.11.69
21. ლუკაშ ფაბიანსკი (პოლ)	18.04.85
24. მანუელ ალმუნია (ესპ)	19.05.77

მცველები

3. ბაკარი სანია (საფ)	14.02.83
5. ჟოლო ტურე (კოტ)	19.03.81
6. ფილიპ სენდეროსი (შვეიც)	14.02.85
10. ეფერეამ ბაკასანი (საფ)	17.08.77
20. იოანან ჯრუჩუ (შვეიც)	18.01.87
22. ბაკარ კლიში (საფ)	26.07.85
27. ეგანუელ ეგუე (კოტ)	04.06.83
31. ჯასტინ ჰოიტი (ინგ)	20.11.84
მეტიუ კონოლი (ინგ)	24.09.87
კერკა ჯილბერტი (ინგ)	28.02.87

ნახევარმცველები

2. აბუ დიაბი (საფ)	11.05.86
4. ფრანსესკ ფაბრეგასი (ესპ)	04.05.87
7. ტომაშ როსიცკი (ჩეხ)	04.10.80
13. ალექსანდრ გლებე (ბელ)	01.05.81
15. დენილსონი (ბრა)	16.02.88
16. მატიო ფლამინი (საფ)	07.03.84
17. ალექსანდრ სონგი (კამ)	09.09.87
19. ჟილბერტო (ბრა)	07.10.76
მარკ რეიდალი	28.09.89
არმან ტრაორე (საფ)	08.10.89

თავდამსხმელები

9. ედუარდო და სილვა (ხორ)	25.02.83
11. რობინ ვან პერსი (პოლ)	06.08.83
25. ეგანუელ ადებაიორი (ტოგ)	26.02.84
26. ნიკლასი ბენდტნერი (დან)	16.01.88
32. თეო უოლკოტი (ინგ)	16.03.89

ფეხბურთელი: ალენ ჰოსენი (საფ), 22.10.49

ასტონ ვილა

დაარსდა 1874 წელს, სტადიონი "ვილა პარკი" (42 593)

მეკარეები

1. თომას სორენსენი (დან)	12.06.76
13. სტიუარტ ტეილორი (ინგ)	28.11.80

მცველები

3. ჯილფრედ გუმა (პოლ)	15.06.78
4. ოლოფ მელბერგი (შვედ)	03.09.77
5. მარტინ

ინგლისი. პრემიერლიგა 2007/08. კალენდარი

I ტური

შაბათი, 11 აგვისტო

ასტონ ვილა-ლივერპული, 17:15
ბოლტონი-ნიუკასლი, 15:00
დერბი-პორტსმუთი, 15:00
ევერტონი-ვიგანი, 15:00
მიდლსბორო-ბლეკბერნი, 15:00
სანდერლენდი-ტოტენჰემი, 12:45
ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი, 15:00

კვირა, 12 აგვისტო 2007

არსენალი-ფულჰემი, 12:00
ჩელსი-ბირმინგემი, 13:30
მანჩესტერ იუნ-რედინგი, 16:00

II ტური

სამშაბათი, 14 აგვისტო

ტოტენჰემი-ევერტონი, 20:00

ოთხშაბათი, 15 აგვისტო 2007

ბირმინგემი-სანდერლენდი, 19:45
ფულჰემი-ბოლტონი, 19:45
მანჩესტერ სიტი-დერბი, 19:45
პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ, 19:45
რედინგი-ჩელსი, 20:00
ვიგანი-მიდლსბორო, 20:00

III ტური

შაბათი, 18 აგვისტო

ბირმინგემი-ვესტ ჰემი, 15:00
ფულჰემი-მიდლსბორო, 15:00
ნიუკასლი-ასტონ ვილა, 17:15
პორტსმუთი-ბოლტონი, 12:45
რედინგი-ევერტონი, 15:00
ტოტენჰემი-დერბი, 15:00
ვიგანი-სანდერლენდი, 15:00

კვირა, 19 აგვისტო 2007

ბლეკბერნი-არსენალი, 15:00
ლივერპული-ჩელსი, 16:00
მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ, 13:30

IV ტური

შაბათი, 25 აგვისტო 2007

არსენალი-მანჩესტერ სიტი, 15:00
ასტონ ვილა-ფულჰემი, 15:00
ბოლტონი-რედინგი, 15:00
ჩელსი-პორტსმუთი, 15:00
დერბი-ბირმინგემი, 15:00
ევერტონი-ბლეკბერნი, 15:00
სანდერლენდი-ლივერპული, 15:00
ვესტ ჰემი-ვიგანი, 15:00

კვირა, 26 აგვისტო 2007

მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი, 16:00
მიდლსბორო-ნიუკასლი, 13:30

V ტური

შაბათი, 1 სექტემბერი 2007

ბოლტონი-ევერტონი, 15:00
ფულჰემი-ტოტენჰემი, 15:00
ლივერპული-დერბი, 15:00
მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი, 15:00
მიდლსბორო-ბირმინგემი, 15:00
ნიუკასლი-ვიგანი, 15:00
რედინგი-ვესტ ჰემი, 15:00

კვირა, 2 სექტემბერი 2007

არსენალი-პორტსმუთი, 13:30
ასტონ ვილა-ჩელსი, 16:00
ბლეკბერნი-მანჩესტერ სიტი, 15:00

VI ტური

შაბათი, 15 სექტემბერი 2007

ბირმინგემი-ბოლტონი, 15:00
ჩელსი-ბლეკბერნი, 15:00
ევერტონი-მანჩესტერ იუნ, 15:00
პორტსმუთი-ლივერპული, 15:00
სანდერლენდი-რედინგი, 15:00
ტოტენჰემი-არსენალი, 15:00
ვესტ ჰემი-მიდლსბორო, 15:00
ვიგანი-ფულჰემი, 15:00

კვირა, 16 სექტემბერი 2007

მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა, 16:00

ორშაბათი, 17 სექტემბერი 2007

დერბი-ნიუკასლი, 20:00

VII ტური

შაბათი, 22 სექტემბერი 2007

არსენალი-დერბი, 15:00
ბლეკბერნი-პორტსმუთი, 15:00
ფულჰემი-მანჩესტერ სიტი, 15:00
ლივერპული-ბირმინგემი, 15:00
მიდლსბორო-სანდერლენდი, 15:00
რედინგი-ვიგანი, 15:00

კვირა, 23 სექტემბერი 2007

ასტონ ვილა-ევერტონი, 14:00
ბოლტონი-ტოტენჰემი, 15:00
მანჩესტერ იუნ-ჩელსი, 16:00
ნიუკასლი-ვესტ ჰემი, 13:30

VIII ტური

შაბათი, 29 სექტემბერი 2007

ბირმინგემი-მანჩესტერ იუნ, 15:00
ჩელსი-ფულჰემი, 15:00
დერბი-ბოლტონი, 15:00
მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი, 12:45
პორტსმუთი-რედინგი, 15:00
სანდერლენდი-ბლეკბერნი, 15:00
ვესტ ჰემი-არსენალი, 15:00
ვიგანი-ლივერპული, 15:00

კვირა, 30 სექტემბერი 2007

ევერტონი-მიდლსბორო, 16:00

ორშაბათი, 1 ოქტომბერი 2007

ტოტენჰემი-ასტონ ვილა, 20:00

IX ტური

შაბათი, 6 ოქტომბერი 2007

ასტონ ვილა-ვესტ ჰემი, 15:00
ბლეკბერნი-ბირმინგემი, 15:00
მანჩესტერ იუნ-ვიგანი, 15:00

კვირა, 7 ოქტომბერი 2007

არსენალი-სანდერლენდი, 12:00
ბოლტონი-ჩელსი, 15:00
ფულჰემი-პორტსმუთი, 16:10
ლივერპული-ტოტენჰემი, 15:00
მანჩესტერ სიტი-მიდლსბორო, 15:00
ნიუკასლი-ევერტონი, 15:00
რედინგი-დერბი, 14:00

X ტური

შაბათი, 20 ოქტომბერი 2007

არსენალი-ბოლტონი, 15:00
ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ, 15:00
ბლეკბერნი-რედინგი, 15:00
ევერტონი-ლივერპული, 15:00
ფულჰემი-დერბი, 15:00
მანჩესტერ სიტი-ბირმინგემი, 15:00
მიდლსბორო-ჩელსი, 15:00
ვიგანი-პორტსმუთი, 15:00

კვირა, 21 ოქტომბერი 2007

ვესტ ჰემი-სანდერლენდი, 16:00

ორშაბათი, 22 ოქტომბერი 2007

ნიუკასლი-ტოტენჰემი, 20:00

XI ტური

შაბათი, 27 ოქტომბერი 2007

ბირმინგემი-ვიგანი, 15:00
ჩელსი-მანჩესტერ სიტი, 15:00
დერბი-ევერტონი, 15:00
მანჩესტერ იუნ-მიდლსბორო, 15:00
პორტსმუთი-ვესტ ჰემი, 15:00
რედინგი-ნიუკასლი, 15:00
სანდერლენდი-ფულჰემი, 15:00
ტოტენჰემი-ბლეკბერნი, 15:00

კვირა, 28 ოქტომბერი 2007

ბოლტონი-ასტონ ვილა, 13:30
ლივერპული-არსენალი, 16:00

XII ტური

შაბათი, 3 ნოემბერი 2007

არსენალი-მანჩესტერ იუნ, 15:00
ასტონ ვილა-დერბი, 15:00
ბლეკბერნი-ლივერპული, 15:00
ევერტონი-ბირმინგემი, 15:00
ფულჰემი-რედინგი, 15:00
მიდლსბორო-ტოტენჰემი, 15:00
ნიუკასლი-პორტსმუთი, 15:00
ვიგანი-ჩელსი, 15:00

კვირა, 4 ნოემბერი 2007

ვესტ ჰემი-ბოლტონი, 16:00

ორშაბათი, 5 ნოემბერი 2007

მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი, 20:00

XIII ტური

შაბათი, 10 ნოემბერი 2007

ბოლტონი-მიდლსბორო, 15:00
ჩელსი-ევერტონი, 15:00
დერბი-ვესტ ჰემი, 15:00
ლივერპული-ფულჰემი, 15:00
მანჩესტერ იუნ-ბლეკბერნი, 15:00
სანდერლენდი-ნიუკასლი, 15:00
ტოტენჰემი-ვიგანი, 15:00

კვირა, 11 ნოემბერი 2007

ბირმინგემი-ასტონ ვილა, 13:00
პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი, 16:00

ორშაბათი, 12 ნოემბერი 2007

რედინგი-არსენალი, 20:00

XIV ტური

შაბათი, 24 ნოემბერი 2007

არსენალი-ვიგანი, 15:00
ბირმინგემი-პორტსმუთი, 15:00
ბოლტონი-მანჩესტერ იუნ, 15:00
დერბი-ჩელსი, 15:00
ევერტონი-სანდერლენდი, 15:00
მანჩესტერ სიტი-რედინგი, 15:00
მიდლსბორო-ასტონ ვილა, 15:00
ნიუკასლი-ლივერპული, 15:00

კვირა, 25 ნოემბერი 2007

ფულჰემი-ბლეკბერნი, 16:00
ვესტ ჰემი-ტოტენჰემი, 13:30

XV ტური

შაბათი, 1 დეკემბერი 2007

ასტონ ვილა-არსენალი, 15:00
ბლეკბერნი-ნიუკასლი, 15:00
ჩელსი-ვესტ ჰემი, 15:00
ლივერპული-ბოლტონი, 15:00
მანჩესტერ იუნ-ფულჰემი, 15:00
პორტსმუთი-ევერტონი, 15:00
რედინგი-მიდლსბორო, 15:00
სანდერლენდი-დერბი, 15:00
ტოტენჰემი-ბირმინგემი, 15:00
ვიგანი-მანჩესტერ სიტი, 15:00

XVI ტური

შაბათი, 8 დეკემბერი 2007

ასტონ ვილა-პორტსმუთი, 15:00
ბლეკბერნი-ვესტ ჰემი, 15:00
ბოლტონი-ვიგანი, 15:00
ჩელსი-სანდერლენდი, 15:00
ევერტონი-ფულჰემი, 15:00
მანჩესტერ იუნ-დერბი, 15:00
მიდლსბორო-არსენალი, 15:00
ნიუკასლი-ბირმინგემი, 15:00
რედინგი-ლივერპული, 15:00
ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი, 15:00

XVII ტური

შაბათი, 15 დეკემბერი 2007

არსენალი-ჩელსი, 15:00
ბირმინგემი-რედინგი, 15:00
დერბი-მიდლსბორო, 15:00
ფულჰემი-ნიუკასლი, 15:00
ლივერპული-მანჩესტერ იუნ, 15:00
მანჩესტერ სიტი-ბოლტონი, 15:00
პორტსმუთი-ტოტენჰემი, 15:00
სანდერლენდი-ასტონ ვილა, 15:00
ვესტ ჰემი-ევერტონი, 15:00
ვიგანი-ბლეკბერნი, 15:00

XVIII ტური

შაბათი, 22 დეკემბერი 2007

არსენალი-ტოტენჰემი, 15:00
ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი, 15:00
ბლეკბერნი-ჩელსი, 15:00
ბოლტონი-ბირმინგემი, 15:00
ფულჰემი-ვიგანი, 15:00
ლივერპული-პორტსმუთი, 15:00
მანჩესტერ იუნ-ევერტონი, 15:00
მიდლსბორო-ვესტ ჰემი, 15:00
ნიუკასლი-დერბი, 15:00
რედინგი-სანდერლენდი, 15:00

XIX ტური

ოთხშაბათი, 26 დეკემბერი 2007

ბირმინგემი-მიდლსბორო, 15:00
ჩელსი-ასტონ ვილა, 15:00
დერბი-ლივერპული, 15:00
ევერტონი-ბოლტონი, 15:00
მანჩესტერ სიტი-ბლეკბერნი, 15:00
პორტსმუთი-არსენალი, 15:00
სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ, 15:00
ტოტენჰემი-ფულჰემი, 15:00
ვესტ ჰემი-რედინგი, 15:00
ვიგანი-ნიუკასლი, 15:00

XX ტური

შაბათი, 29 დეკემბერი 2007

ბირმინგემი-ფულჰემი, 15:00
ჩელსი-ნიუკასლი, 15:00
დერბი-ბლეკბერნი, 15:00
ევერტონი-არსენალი, 15:00
მანჩესტერ სიტი-ლივერპული, 15:00
პორტსმუთი-მიდლსბორო, 15:00
სანდერლენდი-ბოლტონი, 15:00
ტოტენჰემი-რედინგი, 15:00
ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ, 15:00
ვიგანი-ასტონ ვილა, 15:00

XXI ტური

სამშაბათი, 1 იანვარი 2008

არსენალი-ვესტ ჰემი, 15:00
ასტონ ვილა-ტოტენჰემი, 15:00
ბლეკბერნი-სანდერლენდი, 15:00
ბოლტონი-დერბი, 15:00
ფულჰემი-ჩელსი, 15:00
ლივერპული-ვიგანი, 15:00
მანჩესტერ იუნ-ბირმინგემი, 15:00
მიდლსბორო-ევერტონი, 15:00
ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი, 15:00
რედინგი-პორტსმუთი, 15:00

XXII ტური

შაბათი, 12 იანვარი 2008

არსენალი-ბირმინგემი, 15:00
ასტონ ვილა-რედინგი, 15:00
ბოლტონი-ბლეკბერნი, 15:00
ჩელსი-ტოტენჰემი, 15:00
დერბი-ვიგანი, 15:00
ევერტონი-მანჩესტერ სიტი, 15:00
მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი, 15:00
მიდლსბორო-ლივერპული, 15:00
სანდერლენდი-პორტსმუთი, 15:00
ვესტ ჰემი-ფულჰემი, 15:00

XXIII ტური

შაბათი, 19 იანვარი 2008

ბირმინგემი-ჩელსი, 15:00
ბლეკბერნი-მიდლსბორო, 15:00
ფულჰემი-არსენალი, 15:00
ლივერპული-ასტონ ვილა, 15:00
მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი, 15:00
ნიუკასლი-ბოლტონი, 15:00
პორტსმუთი-დერბი, 15:00
რედინგი-მანჩესტერ იუნ, 15:00
ტოტენჰემი-სანდერლენდი, 15:00
ვიგანი-ევერტონი, 15:00

XXIV ტური

სამშაბათი, 29 იანვარი 2008

არსენალი-ნიუკასლი, 19:45
ბოლტონი-ფულჰემი, 19:45
დერბი-მანჩესტერ სიტი, 19:45
მიდლსბორო-ვიგანი, 19:45
სანდერლენდი-ბირმინგემი, 19:45
ვესტ ჰემი-ლივერპული, 19:45

ოთხშაბათი, 30 იანვარი 2008

ასტონ ვილა-ბლეკბერნი, 19:45
ჩელსი-რედინგი, 19:45
ევერტონი-ტოტენჰემი, 19:45
მანჩესტერ იუნ-პორტსმუთი, 19:45

XXV ტური

შაბათი, 2 თებერვალი 2008

ბირმინგემი-დერბი, 15:00
ბლეკბერნი-ევერტონი, 15:00
ფულჰემი-ასტონ ვილა, 15:00
ლივერპული-სანდერლენდი, 15:00
მანჩესტერ სიტი-არსენალი, 15:00
ნიუკასლი-მიდლსბორო, 15:00
პორტსმუთი-ჩელსი, 15:00
რედინგი-ბოლტონი, 15:00
ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ, 15:00
ვიგანი-ვესტ ჰემი, 15:00

XXVI ტური

შაბათი, 9 თებერვალი 2008

არსენალი-ბლეკბერნი, 15:00
ასტონ ვილა-ნიუკასლი, 15:00
ბოლტონი-პორტსმუთი, 15:00
ჩელსი-ლივერპული, 15:00
დერბი-ტოტენჰემი, 15:00
ევერტონი-რედინგი, 15:00
მიდლსბორო-ფულჰემი, 15:00
სანდერლენდი-ვიგანი, 15:00
ვესტ ჰემი-ბირმინგემი, 15:00

კვირა, 10 თებერვალი 2008

მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი, 12:00

XXVII ტური

შაბათი, 23 თებერვალი 2008

ბირმინგემი-არსენალი, 15:00
ბლეკბერნი-ბოლტონი, 15:00
ფულჰემი-ვესტ ჰემი, 15:00
ლივერპული-მიდლსბორო, 15:00
მანჩესტერ სიტი-ევერტონი, 15:00
ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ, 15:00
პორტსმუთი-სანდერლენდი, 15:00
რედინგი-ასტონ ვილა, 15:00
ტოტენჰემი-ჩელსი, 15:00
ვიგანი-დერბი, 15:00

XXVIII ტური

შაბათი, 1 მარტი 2008

არსენალი-ასტონ ვილა, 15:00
ბირმინგემი-ტოტენჰემი, 15:00
ბოლტონი-ლივერპული, 15:00
დერბი-სანდერლენდი, 15:00
ევერტონი-პორტსმუთი, 15:00
ფულჰემი-მანჩესტერ იუნ, 15:00
მანჩესტერ სიტი-ვიგანი, 15:00
მიდლსბორო-რედინგი, 15:00
ნიუკასლი-ბლეკბერნი, 15:00
ვესტ ჰემი-ჩელსი, 15:00

XXIX ტური

შაბათი, 8 მარტი 2008

ასტონ ვილა-მიდლსბორო, 15:00
ბლეკბერნი-ფულჰემი, 15:00
ჩელსი-დერბი, 15:00
ლივერპული-ნიუკასლი, 15:00
მანჩესტერ იუნ-ბოლტონი, 15:00
პორტსმუთი-ბირმინგემი, 15:00
რედინგი-მანჩესტერ სიტი, 15:00
სანდერლენდი-ევერტონი, 15:00
ტოტენჰემი-ვესტ ჰემი, 15:00
ვიგანი-არსენალი, 15:00

XXX ტური

შაბათი, 15 მარტი 2008

არსენალი-მიდლსბორო, 15:00
ბირმინგემი-ნიუკასლი, 15:00
დერბი-მანჩესტერ იუნ, 15:00
ფულჰემი-ევერტონი, 15:00
ლივერპული-რედინგი, 15:00
მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი, 15:00
პორტსმუთი-ასტონ ვილა, 15:00
სანდერლენდი-ჩელსი, 15:00
ვესტ ჰემი-ბლეკბერნი, 15:00
ვიგანი-ბოლტონი, 15:00

XXXI ტური

შაბათი, 22 მარტი 2008

ასტონ ვილა-სანდერლენდი, 15:00
ბლეკბერნი-ვიგანი, 15:00
ბოლტონი-მანჩესტერ სიტი, 15:00
ჩელსი-არსენალი, 15:00
ევერტონი-ვესტ ჰემი, 15:00
მანჩესტერ იუნ-ლივერპული, 15:00
მიდლსბორო-დერბი, 15:00
ნიუკასლი-ფულჰემი, 15:00
რედინგი-ბირმინგემი, 15:00
ტოტენჰემი-პორტსმუთი, 15:00

XXXII ტური

შაბათი, 29 მარტი 2008

ბირმინგემი-მანჩესტერ სიტი, 15:00
ბოლტონი-არსენალი, 15:00
ჩელსი-მიდლსბორო, 15:00
დერბი-ფულჰემი, 15:00
ლივერპული-ევერტონი, 15:00
მანჩესტერ იუნ-ასტონ ვილა, 15:00
პორტსმუთი-ვიგანი, 15:00
რედინგი-ბლეკბერნი, 15:00
სანდერლენდი-ვესტ ჰემი, 15:00

კვირა, 30 მარტი 2008

ტოტენჰემი-ნიუკასლი, 15:00

XXXIII ტური

შაბათი, 5 აპრილი 2008

არსენალი-ლივერპული, 15:00
ასტონ ვილა-ბოლტონი, 15:00
ბლეკბერნი-ტოტენჰემი, 15:00
ფულჰემი-სანდერლენდი, 15:00
მანჩესტერ სიტი-ჩელსი, 15:00
მიდლსბორო-მანჩესტერ იუნ, 15:00
ნიუკასლი-რედინგი, 15:00
ვესტ ჰემი-პორტსმუთი, 15:00
ვიგანი-ბირმინგემი, 15:00

კვირა, 6 აპრილი 2008

ევერტონი-დერბი, 15:00

XXXIV ტური

შაბათი, 12 აპრილი 2008

ბირმინგემი-ევერტონი, 15:00
ბოლტონი-ვესტ ჰემი, 15:00
ჩელსი-ვიგანი, 15:00
დერბი-ასტონ ვილა, 15:00
ლივერპული-ბლეკბერნი, 15:00
მანჩესტერ იუნ-არსენალი, 15:00
პორტსმუთი-ნიუკასლი, 15:00
რედინგი-ფულჰემი, 15:00
სანდერლენდი-მანჩ. სიტი, 15:00
ტოტენჰემი-მიდლსბორო, 15:00

XXXV ტური

შაბათი, 19 აპრილი 2008

არსენალი-რედინგი, 15:00
ბლეკბერნი-მანჩესტერ იუნ, 15:00
ევერტონი-ჩელსი, 15:00
ფულჰემი-ლივერპული, 15:00
მანჩესტერ სიტი-პორტსმუთი, 15:00
მიდლსბორო-ბოლტონი, 15:00
ნიუკასლი-სანდერლენდი, 15:00
ვესტ ჰემი-დერბი, 15:00
ვიგანი-ტოტენჰემი, 15:00

კვირა, 20 აპრილი 2008

ასტონ ვილა-ბირმინგემი, 12:00

XXXVI ტური

შაბათი, 26 აპრილი 2008

ბირმინგემი-ლივერპული, 15:00
ჩელსი-მანჩესტერ იუნ, 15:00
დერბი-არსენალი, 15:00
ევერტონი-ასტონ ვილა, 15:00
მანჩესტერ სიტი-ფულჰემი, 15:00
პორტსმუთი-ბლეკბერნი, 15:00
სანდერლენდი-მიდლსბორო, 15:00
ტოტენჰემი-ბოლტონი, 15:00
ვესტ ჰემი-ნიუკასლი, 15:00
ვიგანი-რედინგი, 15:00

XXXVII ტური

შაბათი, 3 მაისი 2008

არსენალი-ევერტონი, 15:00
ასტონ ვილა-ვიგანი, 15:00
ბლეკბერნი-დერბი, 15:00
ბოლტონი-სანდერლენდი, 15:00
ფულჰემი-ბირმინგემი, 15:00
ლივერპული-მანჩესტერ სიტი, 15:00
მანჩესტერ იუნ-ვესტ ჰემი, 15:00
მიდლსბორო-პორტსმუთი, 15:00
ნიუკასლი-ჩელსი, 15:00
რედინგი-ტოტენჰემი, 15:00

XXXVIII ტური

კვირა, 11 მაისი 2008

ბირმინგემი-ბლეკბერნი, 15:00
ჩელსი-ბოლტონი, 15:00
დერბი-რედინგი, 15:00
ევერტონი-ნიუკასლი, 15:00
მიდლსბორო-მანჩესტერ სიტი, 15:00
პორტსმუთი-ფულჰემი, 15:00
სანდერლენდი-არსენალი, 15:00
ტოტენჰემი-ლივერპული, 15:00
ვესტ ჰემი-ასტონ ვილა, 15:00
ვიგანი-მანჩესტერ იუნ, 15:00



არმინ ფეე მირკო სლომკას წინააღმდეგ

ДЕЛЕ БУНДЕСЛИГА ИГЕЕБА

იდეალური სტარტი: ჩემპიონი VS ვიცე-ჩემპიონი!

გოტლიბდაიმლერშტადიონი შალკესთვის დაწყევლილია...

დასაწყისი, ისევე, როგორც დასასრული, ყველგან და ყოველთვის ყველაზე საინტერესოა ხოლმე... დღეს გერმანიის 2007/08 წლების ჩემპიონატი იწყება. გერმანული საფეხბურთო საზოგადოება ძალიან საინტერესო სეზონის მოლდინშია. თუნდაც იმიტომ, რომ ბუნდესლიგამ ისეთი ვარსკვლავები შეიძინა, როგორებიც არიან ლუკა ტონი და ფრანკ რიბერი. უფრო დამაინტრიგებელ და საინტერესო სტარტს ვერავინ ინატრებდა: დღეს, პირველი ტურის პირველ შეხვედრაში, მოქმედი ჩემპიონი "შტუტგარტი" ვიცე-ჩემპიონ "შალკეს" მასპინძლობს.

ერთი წლის წინათ, მომავალმა ჩემპიონებმა ძალიან ცუდი, მეტიც, საშინელი სტარტი აიღეს, დამარცხდნენ რა საკუთარ მოედანზე "ნიურნბერგთან" 0:3. მაშინ "ნიურნბერგის" კარს **რაფაელ შეფერი** იცავდა, კიპერი, რომელიც დღეს "შტუტგარტის" მეკარეა - "ვალენსიაში" გადასული **ტიმო ჰილდებრანდი** შეცვალა. ექსპერტები ტყუილად როდი ვარაუდობენ, რომ დიდი შანსია, შვაბებმა ეს სეზონიც ცუდად დაიწყონ. თუნდაც იმიტომ, რომ **არმინ ფეეს** არაერთი წამყვანი მოთამაშე აკლია.

"პირველი თამაში ყოველთვის სახიფათოა, რადგან ამ დროს არავინ იცის, როგორ ფორმაშია გუნდი. მაგრამ მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ ახალ სეზონში ისეთ სტარტს ავიღებთ, როგორიც მოქმედ ჩემპიონს ეკადრება," - აცხადებს შეფერი, რომელიც დღეს ყურადღების ცენტრში იქნება, როგორც ჰილდებრანდის შემცვლელი, რომელიც შვაბური კლუბის გულშემატკივრებს ძალიან უყვარდათ. *"პრობლემა არ არის, როცა "ნიურნბერგში" მივედი, იმ დროს ანდრეას კიოპკე გუნდიდან ახალი წასული იყო. პრობლემები არც მაშინ შემქმნია, მიუხედავად იმისა, რომ ჰილდებრანდზე გაცილებით მაღალი დონის მეკარე უნდა შემეცვალა,"* - ამბობს VFB-ს კარის ახალი დარაჯი.

"შტუტგარტს" სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. პირველყოვლისა ის უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი ფორვარდები, **მარიო გომესი** და **კაკაუ** ტრავმირებულები არიან. თუკი კაკაუს გამოჯანმრთელების შანსი არსებობს, გომესი ძირითად შემადგენლობაში ნამდვილად არ იქნება, მაგრამ, შესაძლოა, ფეემ გუნდის ნომერ პირველი ფორვარდი მოედანზე მეორე ტაიმში შეუშვას. სამაგიეროდ, 100 პროცენტით გამორიცხულია **ილდირაი ბაშთურქის** თამაში, რომელიც სამი კვირაა ლაზარეთში იმყოფება. თურქი გამთამაშებელი გამოჯანმრთელებას მეორე ტურისთვის მოასწრებს, რომელშიც "შტუტგარტი" მის ყოფილ გუნდ "ჰერტას" დაუპირისპირდება.

"კიკერის" ვერსიით, ფეე 4-1-4-1 ტაქტიკას აირჩევს. ერთადერთი თავდამსხმელი, "შახტარიდან" ნაყიდი, რუმინელი **ჩიპრიან მარიკა** იქნება, რომელიც შვაბური კლუბის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა. მარიკამ მოსამზადებელ პერიოდში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და შესაბამისად, ფეე მას ნდობას უცხადებს. სამაგიეროდ, მწვრთნელს ჯერ არ მოსწონს ბრაზილიელი **ევერტონი**, რომელიც შვაბებმა "სარაგოსადან" ინათხოვრეს.

რაც შეეხება "შალკეს": თუ სტატისტიკას გადავხედავთ, **ლევან კობიაშვილსა** და კომპანიას ბევრი სანერვიულო აქვთ, რადგან "შალკემ" შტუტგარტში ჩატარებულ ბოლო 7 შეხვედრაში მხოლოდ ერთი (!) გოლის გატანა შეძლო. მენეჯერი **ანდრეას მიულერიც** ამბობს, "გოტლიბდაიმლერშტადიონზე" ბოლო დროს ყოველთვის გვიჭირდა და ცუდად გამოვიყურებოდითო. მაგრამ "ხუმრების" ბოსი იმასაც ხაზს უსვამს, რომ ჩემპიონი წნეხის ქვეშაა, "შალკე" კი, პირიქით. **ჯერალდ ასამოას** აზრით, მოვიდა დრო, რომ "შალკემ" შტუტგარტის სტადიონის წყევლა ჩამოიხსნას: *"შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ და მჯერა, რომ ჩემპიონებს სამ ქულას არ დავუნებებთ,"* - ამბობს ჯერალდი, რომელიც კარგ ფორმაშია და დღეს, წესით, აუცილებლად უნდა ითამაშოს. ასამოამ გერმანიის თასის პირველ ეტაპზე, "ტრირთან" ჰეთ-თრიკი შეასრულა (9:0) და სასტარტოში ადგილი გაინაღდა.

"შალკემ" რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი კი შეიძინა, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ დღეს ძირითად შემადგენლობაში არცერთი მათგანი არ ითამაშებს. მცველ **ჰაიკო ვესტერმანს** სათადარიგოობით მოუწევს დაკმაყოფილება, რადგან **მლადენ კრსტაიჩი** გამოჯანმრთელდა და დაცვის ცენტრში, **მარსელო ბორდონთან** ერთად სწორედ ის ითამაშებს. **ივან რაკიტიჩს** კი, რომელიც გელზენკირხენელებმა **ლინკოლნის** შემცვლელად იყიდეს, **მირკო სლომკას** თქმით, ამ ეტაპზე 18 წლის **მესუთ იოზილი** სჯობს. ამრიგად, გამთამაშებლის პოზიციაზე სწორედ ეს ბიჭი ითამაშებს და არა რაკიტიჩი. კობიაშვილი, რა თქმა უნდა, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

საავარაუდო შემადგენლობები

შტუტგარტი: რ. შეფერი, ოსორიო, ტასკი, მეირა, ბოკა, პარდო, ჰილბერტი, ხედირა, და სილვა, ჰიტცლშპერგერი, მარიკა.

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ფ. ერნსტი, **კობიაშვილი**, იოზილი, ასამოა, კურანი, ლოვენკრანდსი.

კიკერის პროგნოზი: 2:2.

გოტფრიდ ლენცი

*** ჩემპიონატის მსვლელობისას ცხრილი შეიძლება შეიცვალოს. მითითებულია გრინვიჩის დრო, თბილისის დრო +3 საათია.**

სერბი გიგანტი ვალენსიაში

"ვალენსიამ" სერბეთის ნაკრების ცენტრფორვარდი **ნიკოლა ჟიგიჩი** გადაიბირა. სანტანდერის "რასინგის" ან უკვე ყოფილმა მოთამაშემ პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ გრანდთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ტრანსფერის საფასური 15 მილიონი ევროა. დღეს ჟიგიჩი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ფანების წინაშეც წარდგება. 26 წლის ფორვარდი, რომლის სიმაღლე 2 მეტრია, ესპანეთში შარშან, "ცრვენა ზვეზდიდან" გადაბარგდა და 11 გოლით "რასინგის" ბომბარდირიც გახდა.

რეალი: პანდერი რობერტო კარლოსის ნაცვლად?

ბერნდ შუსტერი **რობერტო კარლოსის** შემცვლელს ეძებს. როგორც ესპანური წყაროები იტყობინებიან, "რეალის" მწვრთნელმა მიზანში ამოიღო გერმანელი მარცხენა მცველი **კრისტიან პანდერი**, რომელიც "შალკეში" **ლევან კობიაშვილის** კონკურენტად ითვლება. პანდერს "ხუმარებთან" კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულში უმთავრდება. ვიცე-ჩემპიონთა გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** აცხადებს, რომ ის "შალკეს" მომავალია და მასთან ხელშეკრულების გაგრძელება იგეგმება. ფეხბურთელის აგენტი კი ადასტურებს, რომ მადრიდიდან ზარი უკვე გაისმა და ტრანსფერისთვის ნიადაგიც მოისინჯა. აგენტისავე თქმით, ახლა ყველაფერი "შალკეზეა" დამოკიდებული.

ბაიერნმა დოს სანტოსი გაანათხოვრა, ჩონიმ კი, შეიძლება, შაბათსვე ითამაშოს

პარაგვაელი ნახევარმცველი **ხულიო დოს სანტოსი** მომავალ სეზონში ესპანური "ალმერიის" ღირსებას დაიცავს. "ბაიერნმა" ის ერთწლიანი არენდით გაუშვა გუნდში, რომელიც პრიმერა დივიზიონში ახლახან გადავიდა. დოს სანტოსი მიუნხენურ გრანდში 2006 წლის იანვრიდან ირიცხებოდა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერა და ვერ მოიკიდა.

"ბაიერნის" ბანაკიდან მოვიდა კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც მის ქომაგებს უთუოდ გაახარებს. როგორც ირკვევა, **ლუკა ტონიმ** ვარჯიში სრული დატვირთვით განაახლა და **ოტმარ ჰიტცფელდი** არ გამორიცხავს, იტალიელი ფორვარდი "ჰანზასთან" პირველი ტურის მატჩში სასტარტოშიც გაამწესოს. იქვე, ჰერ ოტმარი დასძენს, რომ კიდევ ერთხელ გაივლის კონსულტაციას კლუბის ექიმებთან, რათა ყოველგვარი რისკი თავიდან აიცილოს.

ბარძალი და ძაკარდო პალერმოში რჩებიან

ანდრეა ბარძალიმ მის გარშემო ატეხილ სატრანსფერო სპეკულაციებს წერტილი დაუსვა: არანაირი "იუვენტუსი", იტალიის ნაკრების მცველი კარიერას კვლავ "პალერმოში" გააგრძელებს და თან არა ერთი წლით: ფეხბურთელმა კონტრაქტი 2012 წლის 30 ივნისამდე გააგრძელა. "პალერმოში" რჩება "სკუადრა აძურის" კიდევ ერთი მცველი **კრისტიან ძაკარდოც**, რომელმაც ასევე 5 წლით გაიხანგრძლივა სიცილიური კარიერა.

საკი იუვენტუსსაც მისდგა

ექსპერტობით გართული **არიგო საკი** აღარავის ინდობს. ჯერ იყო და, **ფაბიო კაპელო** გამოლანძღა, მერე სხვადასხვა მოტივით რამდენიმე კლუბის მესვეური გააკრიტიკა, ახლა კი "იუვენტუსს" გადასწვდა. საკიმ "ბებერი ქალბატონის" ბოსებს სატრანსფერო პოლიტიკა დაუწუნა: *"მათ ნაკლები მოთამაშეები უნდა ეყიდათ და აქცენტი რომელიმე დიდი ფეხბურთელის შეძენაზე გაეკეთებინათ. უკეთესი იქნებოდა, ფული ჩაედოთ ბუფონის დონის მოთამაშეში, ასე კი, მათი საუკეთესო შენაძენი, ჯერჯერობით, კლაუდიო რანიერია".*

იუვემ ავსტრალიელი დაკარგა

იტალიის პროფესიულმა ლიგამ ავსტრალიელ მეკარე **იეს ვანსტრატენს** "იუვენტუსში" თამაშის უფლება არ მისცა. საქმე ისაა, რომ ფეხბურთელმა ტურინელებთან კონტრაქტი მაშინ გააფორმა, როცა "ვერონასთან" მოქმედი ხელშეკრულება აკავშირებდა. ეს კი ფიფას წესებით სასტიკად იკრძალება. ვერონელებმა საქმის კურსში ჩააყენეს ლიგის სპეციალური ორგანო, რომელმაც ვანსტრატენსა და "იუვეს" შორის გაფორმებული კონტრაქტი უკანონოდ სცნო.

არსენალს კაპიტანი დაუნიშნეს

არსენ ვენგერმა "არსენალის" ახალ კაპიტნად **ჟილბერტო სილვა** წარადგინა. ბრაზილიელი ნახევარმცველი ამ საპასუხისმგებლო პოსტზე შეცვლის **ტიერი ანრის**, რომელმაც "ბარსელონას" მიაშურა. ვიცე-კაპიტნები კი **უილიამ გალასი** და **კოლო ტურე** იქნებიან.

ტერი ნაკრებისთვის მზად იქნება, მაკელელე კიდევ ორი წლით

"ჩელსის" კაპიტანი **ჯონ ტერი**, რომელიც ამჟამად ტრავმირებულია და პრემიერლიგის სტარტს გამოტოვებს, მოსალოდნელზე ადრე გამოჯანმრთელდება. ეს ინფორმაცია უთუოდ გაახარებს ინგლისის ნაკრების მწვრთნელ **სტივ მაკლარენს**, რომელსაც ისრაელთან და რუსეთთან ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო მატჩები ელოდება. მეტიც, არის შანსი, რომ ტერიმ, 18 აგვისტოს, "ლივერპულის" წინააღმდეგაც ითამაშოს.

...და ერთი ინფორმაციაც "ჩელსისთან" დაკავშირებით. როგორც "ეკიპი" იტყობინება, **კლოდ მაკელელე** "სტემფორდ ბრიჯზე" კიდევ ორ სეზონს გაატარებს. გადაწყვეტილია, რომ 34 წლის ფრანგი ნახევარმცველის კონტრაქტი ამ დღეებში 2009 წლის 30 ივნისამდე გაგრძელდება.

ფულჰემს ბუაზა გააძლიერებს

"უოტფორდის" 22 წლის ნახევარმცველი **ამერ ბუაზა** "ფულჰემში" გადავიდა. ლონდონელებმა ნიჭიერ ახალგაზრდაში 4.5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. კონტრაქტი 4-წლიანია. ცნობისთვის, "უოტფორდში" ბუაზამ 83 მატჩი ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა.

შოტლანდიელი მეკარე სანდერლენდისთვის

შოტლანდიის ნაკრების მეკარე **კრეიგ გორდონი** კარიერას პრემიერლიგაში აღზევებულ "სანდერლენდში" გააგრძელებს. მანამდე ის "ჰართსის" ღირსებას იცავდა. 24 წლის კიპერმა **როი კინის** გუნდთან 5-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. "კატებს" ტრანსფერი 9 მილიონი გირვანქა დაუჯდათ.



როისტონ დრენტი

არიენ რობენი

რეალი: ორი ჰოლანდიელი ერთ დღეში

მადრიდელებმა როისტონ დრენტი და არიენ რობენი 44 მილიონ ევროდ გადაიბირეს

გუშინ, მადრიდის "რეალს" ბედნიერი დღე გაუთენდა. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ საწადელს მიაღწია და ერთბაშად ორი ფეხბურთელი გადაიბირა. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ **როისტონ დრენტი** და **არიენ რობენი** "რეალის" მოთამაშეები არიან...

მოგეხსენებათ, ახალგაზრდა ჰოლანდიელ მცველთან თანამშრომლობით დაინტერესებული **პრედრაგ მიატოვიჩი** "ფეიენოორდთან" მოლაპარაკებათა მრავალრაუნდიან პროცესში სერიოზულ პრობლემებს გადაეყარა. როტერდამელები მადრიდელთა მიერ შეთავაზებულ 12.5 მილიონ ევროს ცოცხალი თავით არ თანხმდებოდნენ და აცხადებდნენ, რომ დრენტს 18 მილიონზე ნაკლებად არ შეელეოდნენ. ამ თანხის გადახდა კი უკვე "რეალს" არ ეპიტნავებოდა. თითქოს ურთიერთობა ჩიხში მოექცა, მაგრამ გუშინ მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს. გადაწყდა, რომ როისტონი 14 მილიონი ევროს სანაცვლოდ მომავალი სეზონიდან 2012 წლის 30 ივნისამდე "სანტიაგო ბერნაბეუზე" ითამაშებს.

20 წლის ნახევარმცველის ოფიციალური პრეზენტაცია დღეს მოეწყობა. **რამონ კალდერონი** ტრადიციულ ღონისძიებას არ დაელოდა და ჟურნალისტებს საგანგებო პრესკონფერენცია გაუმართა: *"მიმაჩნია, რომ ფანტასტიკური ფეხბურთელი დავიმატეთ. ახლახანს როტერდამის ტურნირზე "ფეიენოორდისა" და "ლივერპულის" დაპირისპირება ვიხილე. დრენტმა დაუჯერებლად კარგად ითამაშა. მან გოლი გაიტანა და პენალტი აიკიდა. მჯერა, მისი სახით მომავლის ვარსკვლავი გადმოვიბირეთ. ხვალ "სანტიაგო ბერნაბეუზე" გეპატიჟებით. როისტონს პომპეზურ პრეზენტაციას მოვუწყობთ."*

ამასობაში, მიატოვიჩმა კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმე მოაგვარა. არიენ რობენმა "ჩელსიდან" თავი დაიხსნა და ისიც სამეფო კლუბის სრულუფლებიანი წევრი გახდა. "დიარიო მარკის" ცნობით, ლონდონელებმა უკან მას შემდეგ დაიხიეს, რაც "რეალის" გენერალური დირექტორისგან არც მეტი, არც ნაკლები, 30 მილიონი ევროს გადახდის პირობა მიიღეს. მადრიდული გრანდი ამ თანხას ეტაპობრივად, ორი წლის განმავლობაში დაფარავს. რობენის მამა, რომელიც შვილს მენეჯერობას უწევს, აღფრთოვანებას ვერ მალავს: *"ბედნიერი ვარ, რომ გაჭიანურებული საქმე წარმატებით დასრულდა. არიენს "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაში ძალიან უნდოდა. ბოლოს "ჩელსის" აღმასრულებელ დირექტორს საკმაოდ მკვახედაც კი დაელაპარაკა, ბოლოს და ბოლოს, თქვენი მონა ხომ არ ვარო. მიხარია, რომ მიატოვიჩმა ლონდონელ კოლეგებს მაცდუნებელი თანხა შესთავაზა. კონტრაქტის დეტალებს ჯერ ვერ გაგიმხელთ. ხვალ ან ზეგ სამეფო კლუბის შეფები ჩემს შვილს პრეზენტაციას მოუწყობენ და ყველა საინტერესო კითხვას "ბერნაბეუზე" გაეცემა პასუხი. მთავარია, რომ კენინმა ფარ-ხმალი დაყარა. რამდენიმე საათიც მოითმინეთ და რობენს მადრიდის აეროპორტში იხილავთ. გარწმუნებთ, ჩემი შვილი "რეალს" უდიდესი ტიტულების მოპოვებაში სერიოზულად დაეხმარება."*

ატლეტიკო

მისტა როხიბლანკოს ტოვებს

"ატლეტიკოში" გამალებული მუშაობაა. ხელმძღანელობა ახალწვეულების მოყვანასა და არასასურველი ფეხბურთელების გაშვებას თანაბარი პასუხისმგებლობით ეკიდება. **ენრიკე სერესო** არავის ერიდება და ყველას პირდაპირ ეუბნება, სჯობს, სხვა კლუბი მონახოო. აღსანიშნავია, რომ **მისტასთვის** წასვლა არავის მოუთხოვია. პირიქით, მურსიელ ფორვარდს კონტრაქტის გახანგრძლივებასაც სთავაზობდნენ, მაგრამ **მიგელ ანხელმა** წინადადება არ მიიღო. ფეხბურთელს საამისოდ რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: *"არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ უმადური ადამიანი ვარ. არავითარ შემთხვევაში, "ატლეტიკოს" მიერ გაწეულ ღვაწლს ჯეროვნად ვაფასებ, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა. ჩვენ არ ვგავართ მსახიობებს ან ინჟინრებს. მათ შეუძლიათ, ღრმა მოხუცებულობამდე იმუშაონ. ჩვენ კი 30 წლის შემდეგ უკვე ვეტერანები ვართ. აქედან გამომდინარე, იძულებული ვარ, საკუთარ მომავალზე ვიზრუნო. სამწუხაროდ, "ატლეტიკოში" შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი იშვიათად მეძლეოდა. ვეჭვობ, ახლაც ასე იქნება. ამიტომ, დროა თავს ვუშველო და სხვაგან წავიდე. თითქმის 100 პროცენტით მაქვს გადაწყვეტილი, რომ "ვისენტე კალდერონს" დავტოვებ და რომელიმე სხვა კლუბში მოვწყობი."*

"როხიბლანკოსთან" დაახლოებული ადამიანების მტკიცებით, მისტას უკმაყოფილებას მხოლოდ ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდნა არ განაპიროებებს. მათი თქმით, მიგელ ანხელს ხელფასის გაზრდაც სურს, მაგრამ აცნობიერებს, რომ სათადარიგოთა სკამის ხეხვისთვის უფრო მეტ ფულს არავინ გადაუხდის.

ევრო 2008. იტალია-საფრანგეთი

დომენეკმა იტალიას უკვე შეუტია

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელს ეჭვი აქვს, სკუადრა აძურას მსაჯები დაეხმარებიან

8 სექტემბერს, მილანში, B ჯგუფისა და, შეიძლება ითქვას, მთელი საკვალიფიკაციო ეტაპის მთავარი მატჩია: იტალია საფრანგეთს უმასპინძლებს. გასული მუნდიალის ფინალისტთა შეხვედრა უდიდეს ინტერესს იწვევს. "სან სირო" რომ გაივსება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. სხვათა შორის, მატჩამდე ერთი თვით ადრე თითქმის ყველა ბილეთი გაყიდულია...

გუშინ, **რაიმონ დომენეკმა** ინტერვიუ მისცა "ლე პარიზიენს" და შეტევაზეც გადავიდა. ის, თურმე, იმდენად არ ფიქრობს გუნდის მომზადებაზე, მოთამაშეთა მდგომარეობასა თუ უშუალოდ თამაშზე, რამდენადაც მსაჯობაზე: *"ერთადერთი, რაც მაღელვებს, ეს არის მსაჯობის ხარისხი. მაგრამ იტალიასთან ხომ ეს ყოველთვის პრობლემაა. წარსულიდან მახსენდება იტალია-საფრანგეთის 21-წლამდელთა საკვალიფიკაციო მატჩი, რომელსაც სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურის ბედი უნდა გადაეწყვიტა. მაშინ საფრანგეთის ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი გახლდით. ჩვენ მოტყუებულები დავრჩით. მათ მსაჯი იყიდეს. როცა ეს ხდება ერთხელ, მერე ყოველთვის ფიქრობ ამგვარ რამეებზე, ფიქრობ და შიშობ, რომ შეიძლება, ეს კიდევ განმეორდეს. იტალიურ ფეხბურთში ძალიან ხშირია ფარული გარიგებები".*

ცხადია, ინტერვიუს დროს დომენეკმა შარშანდელი სკანდალური ფინალიც გაიხსენა. სხვათა შორის, **მარკო მატერაცი** მან ბერლინური დაპირისპირების გმირადაც შერაცხა - მთავარი კონკურენტი მოიცილა, მანამდე თამაშიდან გაგვიტანა გოლი და ბოლოს პენალტების სერიაშიც. პროვოკაცია კი მას არ გაჰკვირვებია, რადგან - ეს სპორტია და მსგავსი რამ ყველა სახეობაში ხდება, თვით ფრენბურთის ბადის გასწვრივაცო...

ბოლოს კი, ნამეტანი მწვავედ არ გამომივიდესო და, იტალიურ ფეხბურთსა და ფეხბურთელებს ქათინაურებიც უძღვნა: *"თქვენ შეიძლება მოგწონდეთ, რაც გინდათ, მაგრამ მე რომ მკითხოთ, იტალიელებს მართლაც გამორჩეული მოთამაშეები ჰყავთ და აღფრთოვანებული ვარ მათით. საერთოდ კი, იტალიური ფეხბურთი ევროპაში ყველაზე ეფექტურია, შეიძლება, მსოფლიოშიც. მე მომწონს ეს ფეხბურთი".*



რაიმონ დომენეკი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა GEORGIA

ᲭᲔᲚᲩᲐᲭᲘ

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი...

საიდან სადაო?! საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი სოხუმში

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გუშინ ისეთი ინფორმაცია მივიდა, რომ ხელმძღვანელები ძლიერ ააფორიაქა... აღელვების მიზეზი ნამდვილად იყო: ქალაქ სოხუმში საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი გაუმართავთ იქაურებს და ბევრი სტუმარიც მიუღიათ.

სამწუხაროდ, საქართველოს იურისდიქცია აფხაზეთზე არ ვრცელდება და შესაბამისად რთული გასარკვევია, ვინ რა ღონისძიებას აწყობს. მით უფრო რთულია საჭადრაკო ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციის მიღება. მიუხედავად ამისა, სოხუმში ადგილობრივების მიერ საერთაშორისოდ მიჩნეული ტურნირი უკე მეოთხე წელიწადია, რაც იმართება; ქართველთა მხრიან კი სერიოზული რეაქცია მხოლოდ წელს გამოიწვია. რატომ მოხდა ასე და რა ზომებს მიმართავენ სპორტის ქართველი მესვეურები?

ამ და სხვა კითხვებით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით ნამგალაურს მივმართეთ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲛᲒᲐᲚᲐᲣᲠᲘ: - ადრე ამ ტურნირზე მხოლოდ ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლები ჩამოდიოდნენ და ამიტომ დიდ ყურადღებას არ ვაქცევდით. სამწუხაროა, მაგრამ მსგავსი შემთხვევები სხვა დროსაც და სხვა სახეობებშიც მომხდარა, მაგრამ რახან სხვა ქვეყნის წარმომადგენლები არ ჩანდნენ, მძაფრი რეაქციაც ამიტომ არ გვქონდა. წლეულს კი, აფხაზებმა მოახერხეს და სოლიდური საპრიზო ფონდიც დაანესეს - 20 000 დოლარი, რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელიც მიიწვიეს და საკმაოდ დიდი რაოდენობის მონაწილენიც შეაგროვეს - 319. ასეთ ფაქტს კი უყურადღებოდ ვერ დავტოვებდით, პირველ რიგში იმიტომ, რომ რამდენიმე ქვეყანამ ჩვენგან დაუკითხავად მიავლინა მონაწილენი და მეორეც - მოჭადრაკეთა რაოდენობის ზრდა სხვათათვის მიმზიდველი ხდება და არავინ იცის, მომავალ და შემდეგ წლებში რა იქნება. აფხაზები, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების მიქცევას ცდილობენ და თუ დროზე არ ჩავერთეთ, მოახერხებენ კიდეც.

ჩვენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას დავავალეთ ოფიციალური საპროტესტო წერილებით მიემართათ იმ ქვეყნების ფედერაციებისათვის, ვისი წარმომადგენელიც სოხუმში ასპარეზობს. იქამდე ტელეფონით ვესაუბრეთ თითქმის ყველა ფედერაციის წარმომადგენლებს და გვითხრეს, რომ მათთვის უცნობი იყო, თუ ვინ მიემგზავრებოდა სოხუმში. ყველა შემთხვევა კერძო ინიციატივაა და შესაძლოა, ამ ვერსიას ენდოს კაცი - მართლაც რთულია, ყველა მოჭადრაკე გააკონტროლო, თუმც რეაგირებას და მინიმუმ ბოდიშის მოხდას მაინც ველით ფედერაციათა ხელმძღვანელებისგან.

კარგად გახსოვთ, სამი წლის წინათ მთიან ყარაბაღში ჩატარდა ტიგრან პეტროსიანის სახელობის მემორიალი და იქ ქართველი ბაადურ ჯობავა იყო მიწვეული. მართალია აქაც კერძო ინიციატივასთან გვქონდა საქმე, მაგრამ ლამის სახელმწიფოთაშორის კონფლიქტამდე მივედით. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას ბოდიშის მოხდაც მოუხდა. იმავეს ველით დღეს ჩვენც.

- გასაგებია, მაგრამ ჯობავას ხომ არ უთამაშია?

- ის სასტარტო სიაში იყო და მხოლოდ ჩვენი ჩარევის შემდეგ გადაიფიქრა თამაში, თუმც ბოდიშის მოხდას მაინც ვერ ავცდით...

წერილები უკვე დაგზავნილია, ამასთან ერთად საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროც გააკეთებს შესაბამის წერილს და დაუგზავნის იმ ქვეყნების არა მარტო ფედერაციებს, არამდე საგარეო საქმეთა სამინისტროებს - უფრო სწორედ, ეს იქნება საპროტესტო ნოტა, რომელსაც საქართველოს სპორტის მმართველი უმაღლესი ორგანო გააკეთებს. არა მგონია, ეს ქმედებები უყურადღებოდ დატოვონ. სხვათა შორის, ჩვენ გვაქვს მონაწილეთა სრული სია, რომელსაც წერილებს თან ვურთავთ; იმედია, ფედერაციები შესაბამის ზომებს მიიღებენ.

- ტურნირის ოფიციალურ საიტზე მონაწილეთა სია არაა გამოქვეყნებული; თქვენ საიდან გაქვთ ეს სია და რამდენად დამაჯერებელია?

- სია ნამდვილია და ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მოვიპოვეთ იმ საშუალებებით, როგორც ხდება ქვეყანაში ყველაზე საჭირო ინფორმაციის მოპოვება - აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობასთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ და მათი შესაბამისი სამსახურების დახმარებით გახდა შესაძლებელი უტყუარი ფაქტების დოკუმენტური დასაბუთება.

- და ერთსაც გკითხავთ: ტურნირი 3 აგვისტოს დაიწყო, ერთი კვირის წინ - ინფორმაციამ დააგვიანა თუ სხვა მიზეზები იყო?

- როგორც მოგახსენეთ, წინა წლებში ტურნირზე მხოლოდ ჩრდილოკავკასიელები სტუმრობდნენ, ოფიციალურ ვებგვერდზეც კვლავაც ესენი იყვნენ დაფიქსირებულნი. ორგანიზატორებმა იეშმაკეს და არ განათავსეს ქვეყნების და მონაწილეების ნუსხა, - აკი ვერც თქვენ იხილეთ ასეთი ინფორმაცია... რეაქციაც მაშინ გავაკეთეთ, როცა კი დადასტურებული ინფორმაცია ჩვენი არხებით მივიღეთ.

იმედი გვაქვს, რომ მომავალში ნებისმიერი ქვეყნის მოჭადრაკეც და ფედერაციაც მეტი გულისყურით მოეკიდება მსგავს საკითხებს და სხვა წლებში ანალოგიურ პრობლემებს არ წავაწყდებით.

ᲠᲝᲛᲐᲜ ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ

კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს რომან სიჭინავასაც.

- ამ ტურნირის ჩატარების შესახებ არცერთ ოფიციალურ საჭადრაკო საიტზე არაფერი იყო ნათქვამი, ამიტომ ინფორმაციაზე ხელი არ მიგვიწვდებოდა. გავიგეთ თუ არა, მაშინვე მივმართეთ იმ ქვეყნის ფედერაციებს, ვისი წარმომადგენელიც თამაშობს სოხუმში. სატელეფონო საუბრებში მათ აღნიშნეს, რომ არ არიან ინფორმირებულნი, მაგრამ ინფორმაციის მიღების შემდეგ საკითხს შეისწავლიან და სათანადო რეაგირებასაც მოახდენენ. ვნახოთ, რა რეაგირება ექნებათ.

- ბატონო რომან, სოხუმის ტურნირის სტატუსი, საერთაშორისო - რამდენად შეესაბამება სტანდარტს?

- აფხაზეთის ღია ჩემპიონატს, როგორც ქვია ამ შეჯიბრს, არ ცნობს ფიდე, ანუ არ ირიცხება ფიდეს კალენდარში. ტურნირზე არ დაითვლება რეიტინგი და ვერ დაფიქსირდება სხვადასხვა საჭადრაკო ნორმები. რომც დაითვალონ, ფიდე მას არ მიიღებს და არ ცნობს. ასე რომ, მისი სტატუსი არ შეესაბამება საერთაშორისოს.

- ფაქტია, აფხაზეთში ბევრს მუშაობენ ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის, ამ მიზნით, როგორც ვიცი, მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა მისივე სახელობის საჭადრაკო სკოლაც კი დააფუძნა; წლევანდელ მონაწილეებს კი მილოცვაც გაუგზავნა...

- ანატოლი კარპოვის საჭადრაკო სკოლა მართლაც არსებობს სოხუმში; ზუსტად არ ვიცი, მაგრამ დაახლოებით სამი წელიწადია, რაც ეს სკოლა შეიქმნა.

- ჩანს, ბატონ კარპოვს სულაც არ აღელვებს ის ფაქტი, რომ აფხაზეთი კონფლიქტის ზონაა და ასეთი ნაბიჯი საქართველოს დაუკითხავად არ უნდა გადადგას...

- სამწუხაროდ, ასეა - კულუარული ინფორმაციით ვიცი, რომ მას ნამდვილად არ აღელვებს ეს საკითხი, - უხეში პასუხი აქვს გაცემული ამ კითხვაზე, ისეთი, რასაც საგაზეთოდ ვერ ვიტყვი.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ზურაბ აზამაიფარაშვილი ფიდეს ვიცე-პრეზიდენტია და ცხადია, მისი აზრიც საინტერესოა.

- ბატონო ზურაბ, წინა წლებთან დაკავშირებით სოხუმში მონაწილეთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა. რაზე მიუთითებს ეს და რისი იმედი შეიძლება ჰქონდეთ აფხაზებს, შესაბამისად, რა საფრთხე უნდა დავინახოთ ქართველებმა?

- ფაქტია, რომ აფხაზებმა შეძლეს სოლიდური საპრიზო თანხის შეგროვება და ამით მიიზიდეს მოჭადრაკეები: ძნელია, თქვა უარი, როცა შენთვის უმნიშვნელო კონფლიქტურ ტერიტორიაზე გპატიჟებენ და სოლიდურ თანხას გთავაზობენ - დარწმუნებული ვარ, მონინავე დიდოსტატებს მონაწილეობისთვისაც გადაუხდიდნენ გარკვეულ თანხას; პლუს ამას გამარჯვებისთვის დაწესებული ჯილდო და ბევრი პოლიტიკას აღარც დაგიდევთ...

ცხადია, ფიდე ასეთ ტურნირს, მით უფრო აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციას არ ცნობს და ყველა ლეგალური გზით, ანუ კანონებით ამ ტურნირს პერსპექტივა არა აქვს - არ ითვლება რეიტინგი და არ შესრულდება ნორმები, მაგრამ მე ვშიშობ არალეგალურ მიზეზებზე, ანუ შესაძლოა, რამდენიმე თვის შემდეგ მავანმა რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის მეშვეობით ამ ტურნირს მონაცემებიც შეაპაროს ფიდეს შესაბამის სამსახურს და რეიტინგებიც დათვალონ და ნორმებიც. არ ვიცი, რამდენად შესაძლებელია ასეთი რამ, მაგრამ საფრთხე არსებობს.

ქართველთათვის კი ცუდი ის არის, რომ ჩვენგან დამოუკიდებლად შეიძლება ჩამოყალიბდეს საერთაშორისო ტურნირი, სადაც აფხაზური მხარე აგიტაციას გასწევს და ამით ბევრ უცხოელს გააცნობს თავის კუთხეს ისე, როგორც მათ უნდათ.

- ბატონო ზურაბ, ცოტა უცნაურია, როგორ შეიძლება რამდენიმე თვის შემდეგ "გაიპაროს" სოხუმის ტურნირის შესახებ ინფორმაცია და მეორე - ფიდე ხომ ოფიციალურად უნდა გმობდეს ასეთ ფაქტებს?

- სამწუხაროდ, ვერაფერს გამოვრიცხავთ და ფიდეშიც შეიძლება შეცდნენ, მით უფრო, როცა რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის დახმარებით კეთდება... ფიდე კი, აუცილებლად გმობს მსგავს ფაქტებს და შესაბამის რეაგირებასაც მოახდენს, მაგრამ ტურნირის ჩატარებას კი ნამდვილად ვერავის აუკრძალავს. შეგახსენებთ, წლებია, რაც ყარაბაღში სომხები ტურნირს მართავენ და იქაც ჩადიან ცნობილი მოჭადრაკეები. მთავარია, ფიდეს ეგიდით არ ჩატარდეს ასეთი შეჯიბრი.

რა რეაქცია მოყვება ქართული მხარის პროტესტს, უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

მანამდე კი, თუკი ვინმეს დაინტერესა, ტურნირის ტექნიკურ მხარეზე მივაწვდით ინფორმაციას. თამაშში 319 მოჭადრაკე ჩაერთო. აქედან 171 ფიდეს რეიტინგის მფლობელია, 8 დიდოსტატი, 20 საერთაშორისო ოსტატი და უამრავი ფიდეს ოსტატი...

რეიტინგ ფავორიტი რუსები - ალექსანდრ ლასტინი (2583) და კონსტანტინ ჩერნიშოვი (2570) არიან. 2500 და მეტი რეიტინგის სულ 9 მოჭადრაკეა; 2400-დან 255-მდე კი - 15.

გათამაშების სისტემა შვეიცარიულია და 11 ტურად გაიმართება. ტურნირის ორგანიზატორი აფხაზები კი არიან, მაგრამ მთავარ მსაჯებად და მომსახურედ რუსები მოუწვევიათ, რომელთაც სათავეში საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი მიხაილ როიზანი უდგას. სხვათა შორის, ფიდე, ვალდებულიც კი არის საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები მკაცრად დასაჯოს...

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲭᲐᲚᲩᲐᲭᲘ

ბრიტანელებს დენგიანად მოვუგეთ

საქართველო-ბრიტანეთი 65:63

საქართველო: გამყრელიძე (1 ქ), ელისი (15 ქ), მარკოიშვილი (17 ქ), ნაცვლიშვილი (3 ქ), ფაჩულია (12 ქ, 12 მ), ბოისა, ბაბიაშვილი, უგრეხელიძე (2 ქ), ცინცაძე (4 ქ), სანიკიძე (11 ქ, 6 მ)

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ ბოლოსწინა საკონტროლო მატჩი გამართა. ფრანგულ შეკრებაზე მყოფმა **კენ შილდსის** გუნდმა, "პო ორტეზის" დარბაზში, დიდი ბრიტანეთის ნაკრებს უმასპინძლა. მატჩს 300-მდე გულშემატკივარი დაესწრო. მაყურებელთა შორის იყვნენ საფრანგეთში მოთამაშე ქართველი მორაგბეებიც - **მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი მაჩხანელი** და **ირაკლი გიორგაძე**.

მატჩის წინ, ადგილობრივი პრესა და გულშემატკივარი, ყველაზე დიდ ინტერესს NBA-ს ამომავალი ვარსკვლავის, "ჩიკაგოს" უკანახაზელ **ლუოლ დენგიანადმი** იჩენდა. გუშინ მას დებიუტი ჰქონდა მშობლიურ ნაკრებში. თუმცა, ჩვენდა სასიხარულოდ, დენგიანადმი ყველაზე დიდი ყურადღება საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა და მეტადრე, **მანუჩარ მარკოიშვილმა** გამოიჩინეს. მანუმ ბრიტანელთა მთავარი დამრტყმელი ძალა ძალიან შეავიწროვა. მარკოიშვილმა ექვსიდან 4 სამქულიანი ჩააგდო. მის 17 ქულას დენგმა ცხრამეტით უპასუხა...

პირველი ტაიმის შემდეგ, ტაბლოზე 32:32 ენთო. ურთულეს ბრძოლაში, მატჩის ბედი **ტაირონ ელისის** ბოლო წამებზე მოგროვებულმა ქულებმა გადაწყვიტა. რაც შეეხება საქართველოს ნაკრების ლიდერს, ამერიკიდან მობრუნებულ **ზაზა ფაჩულიას,** ინგლისელები ყველაზე მეტად მის განეიტრალებაზე ზრუნავდნენ. შესაბამისად, ზაზა ჩვეულებისამებრ, ქულაუხვი არ იყო, მაგრამ ორმაგ დუბლს გამოჰკრა ხელი.

დღეს საქართველოს ნაკრები, ჩვენი დროით 19 საათზე, კიდევ ერთხელ დაუპირისპირდება ბრიტანელებს. ეს ოფიციალურ მატჩებამდე ჩვენი ბოლო საკონტროლო შეხვედრა იქნება.

ნამატჩევს, კმაყოფილი იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **დავით უსტიაშვილი**: *"მართალია, შეტევაში ბევრი იოლი ბურთია ვერ ჩავაგდეთ, მაგრამ სამაგიეროდ, კალათბურთელების ინდივიდუალური მზადყოფნით ვართ კმაყოფილები. ყველაზე მთავარი ის არის, რომ გუნდი თამაშიდან თამაშამდე პროგრესირებს".*

კობა ᲮᲐᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

პოლონელები დაიბრიყვეს

რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარაში 18-წლამდელ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. ტურნირი მეოთხე კატეგორიისაა, მასში ორი ქართველი თამაშობს: **ნიკოლოზ ქურდაძე** და **გიორგი ხმიადაშვილი**. ნიკოლოზ ქურდაძე ამ დღეებში 17 წლის გახდება, ახალგაზრდულ რეიტინგში მას 771-ე ადგილი უკავია, გიორგი ხმიადაშვილი ჯერ მხოლოდ 15 წლისაა, რეიტინგში ის ათასეულს მიღმაა. ქურდაძე რუმინეთში მე-7 ნომრად განთესეს. პირველ წრეში მან პოლონელი **მატეუშ მადერჟიკი** დაამაცხა - 6:2, 6:3. ხმიადაშვილმა კი ძალიან იოლად მოუგო პოლონელ **კშიშტოფ ბასას** - 6:0, 6:1. მეორე წრეში ქურდაძეს კვლავ პოლონელი მეტოქე ჰყავს, **იაკუბ კოვალსკი**, ხმიადაშვილს მეტოქე კი მასპინძელი **ნადინ ინდრეა**. შეგახსენებთ, რომ ნიკოლოზ ქურდაძე ივლისში თბილისში გამართული საერთაშორისო ტურნირის ფინალისტია.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲠᲡᲔᲜᲘᲫᲔ. 10.08.1934, თბილისი - 22.09.1989, იქვე. თავისუფალი ჭიდაობა (57 კგ). მსოლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1959). სსრკ ჩემპიონი (1957), მეორე (1960) და მესამე პრიზიორი (1958), სსრკ ხალხთა II სპარტაკიადის ჩემპიონი (1959), ახალგაზრდობის საერთაშორისო სპორტული თამაშების მესამე ირიზიორი (1957). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



საჩუქარი ნაიკისგან

საფრანგეთში მესამე დღეა მიმდინარეობს NBA-ს მიერ ორგანიზებული კემპი, რომელშიც 16-დან 18 წლამდე ასაკის ჭაბუკები მონაწილეობენ. 50 ევროპელს შორის 2 ქართველია - **ნიკა მეტრეველი** ("მონტეპასკი", იტალია) და **კოკა ტომარაძე** ("ბარსელონა", ესპანეთი).

საზაფხულო კემპის პირველ დღეს იუნიორებმა NBA-ს ვარსკვლავები ახლოს გაიცნეს, ხოლო მეორე დღეს - საქმეს შეუდგნენ: დილას გაიმართა პრესკონფერენცია, რმოელსაც 50 კალათბურთელის გარდა NBA-ს კლუბების მესვეურები და ამერიკაში მოთამაშეები ესწრებოდნენ. მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ კემპში მონაწილე ვარსკვლავთა ვინაობას: **ბორის დიაო** ("ფინიქსი"), **რონი ტურიაფი** ("ლეიკერსი"), **მიშელ პიეტრუსი** ("გოლდენ სტეიტი"), **იაკუბუ დიავარა** ("დენვერი"), **ლუოლ დენგი** ("ჩიკაგო"), **კრის დიუპონი** "(ჩიკაგო"), **ბო აუთლო** ("ორლანდო").

პრესკონფერენციის შემდეგ ჭაბუკებს Nike-ის ფირმის ეკიპირება გადაეცათ. ამ ფორმით ისინი პარიზის საზაფხულო ლიგაზე ითამაშებენ, ხოლო ახალი სეზონისთვის Nike ახალ ფეხსაცმელს დამატებით შეუკერავს. ეს მონაწილეთათვის სასიამოვნო სიურპრიზი გამოდგა, რადგან მათ საშუალება მიეცათ ბოტასის დიზაინი და ფერი თავად შეერჩიათ, ზედ კი თითოეული ჭაბუკის ავტოგრაფი ამოიქარგება.

დღის მეორე ნახევარში საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და კემპის ორგანიზატორმა ჭაბუკებს NBA-ს საზაფხულო ლიგების ისტორიასა და დანიშნულების შესახებ ლექცია წაუკითხეს. დღის ბოლოს მონაწილეებმა მოედანზეც გაალწიეს. იქ NBA-ს დრაფტის მსგავსად პარიზის კემპის დრაფტი გაიმართა და მოთამაშეები 6 გუნდში გადანაწილდნენ: "ლეიკერსში", "ნაგეტსში", "სან ანტონიოში", "სიეტლში", "ფინიქსსა" და "გოლდენ სტეიტში".

კემპის მომდევნო დღე გაცილებით მრავალფეროვანი იყო: ჯერ ექვს გუნდს შორის ჩემპიონატი გაიმართა, ხოლო საღამოს მონაწილეები პარიზის ქუჩებს მოედნენ...

სამწუხაროდ, არ გვაქვს ინფორმაცია, რომელ გუნდებში მოხვდნენ კოკა ტომარაძე და ნიკა მეტრეველი, თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ რომელიმე მათგანი ტურნირს მოიგებს, ისევე როგორც ეს ორი წლის წინათ **გიორგი გაფრინდაშვილის** გუნდმა გააკეთა.

აქვე ერთ შესწორებას შევიტანთ: გუშინწინდელ ნომერში დავწერეთ, რომ შარშან გამართულ NBA-ს კემპში მხოლოდ **გიორგი შერმადინი** მონაწილეობდა. მის გვერდით ლიტვაში მეორე ქართველიც იყო - **რიჩარდ მათიაშვილი**.

კემპის მესამე დღე, როგორც უკვე გითხარით, პარიზში გასეირნებით დასრულდა. ახალგაზრდებმა მასწავლებლებთან ერთად ეიფელის კოშკთან სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

ვაჟა სიმონიშვილი

ფინელთა მეორე მარცხი

საქართველოს ნაკრების პარალელურად აქტიურად ემზადება მისი უშუალო კონკურენტი ფინეთის ეროვნული გუნდი. სუომელებმა შვედებთან წაგებას მეორე მარცხი მიაყოლეს - ჩეხებთან 64:87 დათმეს.

გამარჯვებულთა რიგებში თამაშობდა NBA-ს წარმომადგენელი **ირჟი ველში**, რომელიც 14 ქულით შეხვედრის სნაიპერი გახდა. ხოლო ფინელთაგან თავი პეტრი **ვირტანენმა** (13 ქულა) და **ანტი ნიიკილამ** (12 ქულა) გამოიჩინეს.

ფრენბურთი

მსოფლიო ტური

წააგეს, გამოეთიშნენ

ნორვეგიულ კრისტიანსანდში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე გუშინ პლაჟბურთის ქართული წყვილი **გეორ-გია** ჩაერთო. ჩვენმა ფრენბურთელებმა ორიდან ერთი შეხვედრა მოიგეს და ასპარეზობას განაგრძობენ.

პირველ მატჩში გეორ-გია იტალიელებს **ლიონესა და ვარნიერის** დაუპირისპირდა და მათ დასამარცხებლად სამი სეტი დასჭირდა 21:14, 15:21, 15:12. მეორე რაუნდში ჩვენი ფრენბურთელების მეტოქე, მათთვის კარგად ნაცნობი რუსები, **ბარსუკი** და **კოლოდინსკი** იყვნენ. ამ წყვილმა გეორ-გია ავსტრიაში, კლაგენფურტის ეტაპიდან გამოთიშა. ჩვენი ფრენბურთელები ამჯერადაც დამარცხდნენ 0:2 (19:21, 15:21).

მორიგ შეხვედრას გეორ-გია დღეს გამართავს იტალიელებთან **ამორესა** და **ბიძოტოსთან**. ჩვენი სპორტსმენები წაგების შემთხვევაში შეჯიბრებას გამოეთიშებიან.

ბესიკ ჯანგავაძე

ფარიკაობა

გამოცდები ქართველმაც ჩაიბარა

მარცხნიდან: მორის სახვაძე, ლეგენდარული კუბელი მოკრივე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი თეოფილო სტივენსონი და ზაურ გვაჯავა.

საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **მორის სახვაძე** საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის წევრია და როგორც დელეგატი ამ ორგანიზაციას ხშირად წარმოადგენს სხვადასხვა დონის საერთაშორისო ტურნირში. ქართველი სპეციალისტი ამ დღეებში ბრაზილიაში მიწვეული იყო პანამერიკულ თამაშებზე, როგორც დელეგატი და ერთ-ერთი წევრი იმ სამეულიდან, რომელმაც თამაშების დღეებში გამოცდები ჩაუტარა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდების მისანიჭებლად ხსენებული რეგიონის ფარიკაობის მსაჯებს.

გუშინ, ბატონი მორისი რედაქციაში გვეწვია და შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

"პანამერიკული თამაშები, იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ, ოლიმპიადებამდე ერთი წლით ადრე და დიდად ეხმარება მონაწილე ქვეყნებს ოლიმპიელების შერჩევაში. როგორც ყოველთვის, წლევანდელმა ასპარეზობამაც მაღალ დონეზე ჩაიარა. რიოდეჟანეიროში, სადაც ამჟამად ჩატარდა თამაშები, შევხვდი ჩვენ თანამემამულეს აფხაზეთიდან, კრივის ცნობილ სპეციალისტს ზაურ გვაჯავას, რომელიც აფხაზეთის მოვლენების შემდეგ ვენესუელაში გადასახლდა და ახლა ამ ქვეყნის მოკრივეთა ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელია", - გვითხრა მ. სახვაძემ.

საქართველოს პრეზიდენტს
მიხეილ სააკაშვილს
საქართველოს გენერალურ პროკურორს **ზურაბ ადეიშვილს**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
საკონსულტაციო საბჭოს

"ქართველური ტომები ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ, მონათმფლობელურ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ, სადაც სპორტი ადამიანთა სამხედრო, ფიზიკური მომზადების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა" (ოლიმპიური ენციკლოპედია).

მონათმფლობელური სახელმწიფოდან მოყოლებული - დღემდე, ცივილიზებული სამყარო ცდილობდა სპორტის სისტემის ჩამოყალიბებას და სრულყოფას. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც ამ ტენდენციის საწინააღმდეგო და უკულონისძიება იყოს გატარებული.

საქართველოში, ისე, როგორც დემოკრატიულობის პრეტენზიის მქონე ყველა ქვეყანაში, სპორტის სისტემა სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია. თვით სისტემა არ არსებობს ინსტიტუციური მოწყობის გარეშე. ამ სისტემის განმსაზღვრელია შესაბამისი დამოუკიდებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერული და სპორტული კადრების მომზადებას.

საქართველო ამაყობს, რომ მსოფლიოში პირველი კოსმონავტის - იური გაგარინის ფიზიკურ მომზადებაში, სპორტის აკადემიის ბიომექანიკის კათედრის ხელმძღვანელის ლევან ჩხაიძის ღვაწლია, რომ მსოფლიო ფეხბურთის ქვეყანაში - ბრაზილიაში, სან პაულოს შტატის უნივერსიტეტში ფეხბურთის სპეციალობის პროფესორია ჩვენი აკადემიის კურსდამთავრებული გოჩა ალადაშვილი... სხვა და სხვა. საქართველოს სპორტის სისტემის ფესვებიც და სადავეებიც სპორტის აკადემიაშია. ამ აკადემიის, როგორც დამოუკიდებელი უმაღლეს სასწავლებლის გაუქმება, ერთმნიშვნელოვნად საქართველოს სპორტის სისტემის ნგრევაა. ამის ჩამდენი კი, ნებსით თუ უნებლიედ, დამნაშავეა სახელმწიფოს, ერისა და ბერის წინაშე.

ჩვენ მოვიპოვეთ იურიდიული ძალის მტკიცებულებები: მართლაც, არსებობს საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 ივლისის №140 დადგენილება. დადგენილების თანახმად:

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს - კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე რეორგანიზებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიერთების გზით" (თანამედროვე ნიმუში მონათმფლობელური სახელმწიფოსკენ).

- არ არის წარდგინება მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისი, რომ განხილულია "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაციის მიზანშეწონილობის ძირითადი კრიტერიუმების" დაცვით და დასაბუთება (მტკიცებულებები), რომ სპორტის აკადემიის რეორგანიზაცია მიერთების გზით აუცილებელია და პროგრესია.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის განცხადებით, არსებული მტკცებულებებით დგინდება: სპორტის აკადემიის შენობა-ნაგებობის გაყიდვის მიზნით - კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის, განათლებისა და მეცნიერების, ეკონომიკური განვითარების მინისტრებმა მოითათბირეს სპორტის აკადემიის რეორგანიზაცია. მიმდინარე წლის 4 ივლისის სამთავრობო სხდომაზე, გ. გაბაშვილის სიტყვიერი ინფორმაციის შედეგად, ა. ლომაიას და გ. გაბაშვილს დაევალათ სპორტის აკადემიის მიერთების შესახებ პროექტის წარმოდგენა. მათ მიერ წარდგენილ პროექტზე (და არა კანონის შესაბამისად სათანადო წარდგინებით) ხელია მოაწერა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა. ამ დადგენილებაზე აპელირებით სსიპ ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტმა, დადგენილებით განსაზღვრული წესისა და კანონმდებლობის სრული იგნორირებით, შექმნა "... მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული ცენტრი - "სპორტის აკადემია". ეკონომიკის სამინისტროს მიერ საგანგებოდ დაქირავებული პერსონალის მეშვეობით, ყოველგვარი საბუთის გარეშე მოხდა აკადემიიდან თანამშრომლებისა და სტუდენტების გამოძევება და ბლოკირება. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის მიერ შენობაში არსებული დოკუმენტაციის გამოყენება-გადატანა და სამუშაო ოთახებისა და აუდიტორიების დალუქვა. უპრეცედენტო კანონდარღვევისა და ძალადობის გამო, საჩივარზე მსგავს საქმეებზე ავტორიტეტული სასამართლო რეაგირების მოლოდინში, უფრო და უფრო მძიმდება მდგომარეობა.

ბატონებო, სახეზეა ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ნიშნები თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და უფლებამოსილების გადაჭარბებისა. საქართველოს სპორტის სისტემის ნგრევისა.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 ივლისის №140 სამართლებრივად უსაფუძვლო დადგენილება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ბოლონიის პროცესის ფუნდამენტურ დებულებებს. ბოლონიის დეკლარაციას, შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონმდებლობას, საქართველოში განათლების რეფორმის ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტებს.

ბატონო პრეზიდენტო, გვახსოვს, "ვარდების რევოლუციის" დროს, უსამართლო ბრძანებების აღსრულებისათვის მინისტრების მიმართ თქვენი რეაგირება. იმედია, მსგავს ობიექტურობას დღესაც გამოიჩენთ.

ბატონებო, გთხოვთ სამართლიანობის აღდგენისა და ძალადობის აღკვეთის მიზნით თქვენს სათანადო რეაგირებას.

**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
აკადემიის საორგანიზაციო კომიტეტი**

ფორმულა 1. უნგრეთის დიდი პრიზის შემდეგ

მაკლარენი ქულების დაბრუნებას მოითხოვს

ალონსოსა და ჰემილტონს შორის ურთიერთობა დაიძაბა

ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერი, ბრიტანული "მაკლარენი" მოითხოვს, რომ დაუბრუნდეს ის 15 ქულა, რომლებიც მისმა პილოტებმა უნგრეთის დიდ პრიზზე მოიპოვეს, მაგრამ კვალიფიკაციაზე მომხდარი ინციდენტის გამო, ეს ქულები გუნდს კონსტრუქტორთა პირველობის ჩათვლაში არ ჩაეთვალა.

ამის მიუხედავად, ინგლისური საჯინიბო კონსტრუქტორთა პირველობაზე მაინც ინარჩუნებს ლიდერობას და მეტოქე "ფერარის" 19 ქულას უგებს, მაგრამ გუნდის შეფი **რონ დენისი** თვლის, რომ უნგრეთის რბოლის სტიუარდების მიერ მიღებული გადაწყვეტილება უსამართლო იყო.

შეგახსენებთ, რომ უნგრეთის დიდი პრიზის კვალიფიკაციის ბოლო წუთებზე, ბოქსში, რეზინის შესაცვლელად, ერთდროულად "მაკლარენის" ორივე პილოტი შევიდა. წინ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** იყო, უკან კი მიმდინარე ჩემპიონატის ბრიტანელი ლიდერი **ლუის ჰემილტონი**. გუნდის ინჟინრებმა, იმის გამო, რომ ტრასაზე დაბრუნებულ ალონსოსთვის ტრაფიკს სწრაფი წრე გაეფუჭებინა, პილოტი ზედმეტად შეაყოვნეს. ამან კი ჰემილტონს გაუფუჭა საქმე, რომელმაც ბოლო სწრაფი წრე ველარ გაიარა. სტიუარდებმა კი ჩათვალეს, რომ ალონსო ასე გამიზნულად მოიქცა, რათა თანაგუნდელისთვის ხელი შეეშალა.

საბოლოოდ, ალონსომ კვალიფიკაცია საუკეთესო შედეგით დაასრულა, ჰემილტონი კი მეორე შედეგს დასჯერდა. მაგრამ სტიუარდებმა ესპანელი სასტარტო რიგში ხუთი ადგილით დააქვეითეს, რის შედეგადაც, ჰემილტონმა სტარტი პოულიდან აიღო და რბოლაც მოიგო. ალონსო კი ფინიშთან მეოთხე მივიდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სპორტის საერთაშორისო სააპელაციო სასამართლოში აპელაცია ბრიტანეთის მოტორ სპორტის ასოციაციამ შეიტანა.

პარალელურად, გრძელდება სკანდალი, რომელშიც "ფერარი" "მაკლარენს" ტექნოლოგიურ შპიონაჟში ადანაშაულებს. შეგახსენებთ, რომ ეს საქმე ცოტა ხნის წინათ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციაში (ფია) განიხილეს და ინგლისური გუნდი უდანაშაულოდ ცნეს. მაგრამ მოგვიანებით, თავად ფედერაციის პრეზიდენტმა **მაქს მოსლიმ**, ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. საქმის ხელმეორე განხილვა 13 სექტემბრისთვის დაინიშნა და ის პარიზში შედგება.

შეგახსენებთ, რომ "მაკლარენის" მთავარი ინჟინერის **მაიკ კოფლენის** ბინაში პოლიციამ "ფერარის" ბოლიდის შესახებ ტექნიკური ინფორმაცია აღმოაჩინა. იტალიური გუნდის მესვეურები ირწმუნებიან, რომ მათმა კონკურენტმა ეს ინფორმაცია გამოიყენა და სწორედ მისი წყალობით მიაღწია ჩემპიონატში სოლიდურ უპირატესობას. "მაკლარენი" კი ამტკიცებს, რომ კოფლენის ხელთ არსებული მასალები არ გამოუყენებია.

თავისი უდანაშაულობა დენისის გუნდმა საქმის პირველ განხილვაზე დაამტკიცა. არადა, იმავე განხილვის დროს დამტკიცდა, რომ ინგლისური საჯინიბო კონკურენტი გუნდის ინფორმაციას უკანონოდ ფლობდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც კი კოფლენის მიერ "ფერარის" ტექნიკური დოკუმენტაციის ფლობის ამბავი გახმაურდა, "მაკლარენმა" კოფლენი მაშინვე დაითხოვა.

დაბოლოს, ისევ უნგრული ინციდენტისა და მისგან გამომდინარე მოვლენების შესახებ: ბუდაპეშტში ტრიუმფის შემდეგ, ჰემილტონმა განაცხადა, რომ კვალიფიკაციის შემდეგ, ალონსოს მისთვის ხმა არ გაუცია. ამ განცხადებას კი პრესაში უმალ მოჰყვა რამდენიმე გამოხმაურება. ზოგი ამტკიცებდა, რომ ალონსო სხვა გუნდში გადასვლას აპირებს. ზოგიერთი ვერსიით კი "მაკლარენში" "შინაომი" დაიწყო და რონ დენისს ძალიან გაუჭირდება თავისი ამბიციური პილოტების მოთოკვა.

ეს ხმები გუშინ ჰემილტონმა უარყო. მან განაცხადა, რომ მასა და ალონსოს შორის არანაირი "ცივი ომი" არ მიმდინარეობს. *"ჩვენ კონკურენტები ვართ, მაგრამ იმავდროულად, ერთმანეთს პატივისცემითაც ვეპყრობით. ორივე ამბიციური პილოტები ვართ და რბოლებში იმისათვის ვმონაწილეობთ, რომ გამარჯვება გვწყურია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შორის არანაირი ურთიერთობა არ არსებობს. მართალია, უნგრეთში, კვალიფიკაციის შემდეგ ჩვენ არ გვისაუბრია, მაგრამ იქიდან გამომგზავრებულები, რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს. ჩვენ შორის ნორმალური პროფესიული ურთიერთობა გრძელდება. ამ არდადეგებზე კი შეხვედრას და ცოტა ხნით ერთად დასვენებასაც ვგეგმავთ"*, - განაცხადა ჰემილტონმა.

მერაბ ლორთქიფანიძე

NBA. ბოსტონ სელტიქსი

რეჯი მილერი ბრუნდება?!



რეჯი მილერი

მაბარ მადაზე მოვიდა "ბოსტონ სელტიქსი". **რეი ალენისა** და **კევინ გარნეტის** დამატების შემდეგ, ზელიგის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი პენსიიდან თვით **რეჯი მილერის** დაბრუნებას გეგმავს და პრინციპში, როგორც ორივე მხარე ამბობს, წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია.

"ბოსტონი" რეჯისთან მოლაპარაკებას თურმე ბოლო ერთი თვის განმავლობაში აწარმოებდა, თუმცა რეჯის თხოვნით, ამის შესახებ მასმედიისთვის არაფერი უთქვამთ.

"ამჯერად მხოლოდ და მხოლოდ TNT-თან თანამშრომლობით ვარ დაკავებული და ტელეანალიტიკოსად თავს მშვენივრად ვგრძნობ. "ბოსტონთან" მოლაპარაკება ბოლო ფაზაშია შესული და სულ მალე ყველა კითხვაზე პასუხს გაგცემთ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ლიგის 16-გზის ჩემპიონი რეჯი მილერითაა დაინტერესებული", - განუცხადა მასმედიას რეჯიმ.

რეჯი სულ მალე 42 წლის გახდება და შეგახსენებთ, რომ თავისი 18-წლიანი კარიერისას მას მხოლოდ "ინდიანა პეისერზის" შემადგენლობაში აქვს ნათამაშები, თუმცა ჩემპიონობა ერთხელაც ვერ მოიპოვა. მაქსიმუმი, რაც მილერის გუნდმა გააკეთა, **ლარი ბერდის** თავკაცობისას სუპერფინალში გასვლა იყო, სადაც აღმოსავლელები **შაკისა** და **კობი ბრაიანტის** "ლეიკერსთან" 2:4 დამარცხდნენ.

"მილერს ბოლოს რომ ვესაუბრე, იგი უფრო იქით იყო გადახრილი, რომ დიდ კალათბურთში დაბრუნდება და ამას "ბოსტონში" გააკეთებს", - ამბობს "სელტიქსის" ბოსი **დენი ეინჯი**, ხოლო რეჯის აგენტს, **არტ ტელემს** კი მობილური გათიშული ჰქონდა და მისგან კომენტარის აღება ვერ მოხერხდა.

რეჯი მილერი პროფესიული კალათბურთიდან 2 წლის უკან წავიდა. მის ანგარიშზე 25 279 ქულაა და ამ შედეგით იგი ყველა დროის მეცამეტე მექულეა. თავისთავად, რეჯი დღესაც პირველ ადგილზეა ზუსტი სამქულიანებით, თუმცა თუ მისმა (სავარაუდოდ) მომავალმა თანაგუნდელმა **რეი ალენმა** კარიერა ასევე აქტიურად და პროდუქტიულად გააგრძელა, იქნებ გადაასწროს კიდეც მისტერ მილერს.

"ბოსტონმა" შარშანდელი რეგულარული მხოლოდ 24 მოგებითა და 58 წაგებით დაასრულა, ხოლო მას მერე, რაც გუნდმა დრაფტზე თავისი დღევანდელი კაპიტანი და ლიდერი **პოლ პირსი** აიყვანა, უდიდესი ტრადიციების მქონე გუნდმა მხოლოდ 3 საფლეიოფო სერია დაასრულა თავის სასარგებლოდ. წელს გუნდის მიზანი, მინიმუმ ფლეი ოფია, მერე კი... გააჩნია, ვის დაიმატებს "სელტიქსი", რადგან ძლიერი სასტარტო ხუთეულით რეგულარულისა და ფლეი ოფის ერთ ამოსუნთქვაზე გავლა ძალიან რთული იქნება.

"ყველა ვარსკვლავის" მატჩის 7-გზის მონაწილე ალენისა და 2004 წლის უძვირფასესის, კევინ გარნეტის დამატებით, "სელტიქსმა" მეფლეიოფეთა წინასასეზონო რეიტინგში მაგრად აინაცვლა, მაგრამ ამათ (პოლ პირსთან ერთად) გარდა, გუნდს კონტრაქტებით ოდენ 4 მოთამაშე ჰყავს გაფორმებული და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დრო სულ უფრო ცოტა რჩება, "სელტიქსმა" მაგრად უნდა იაქტიუროს.

ზურაბ თალაკვაძე

10 აგვისტო. პარასკევი

EUROSPORT

09:30 პლაჟის ფეხბურთი. ევრო ლიგა. პალმა დე მალიორკა (ესპანეთი)
10:30 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. მოსკოვი (რუსეთი). რუსეთი-ყაზახეთი
12:30 სნუკერი. შანხაის საერთაშორისო მასტერსი. მეხუთე დღე
13:45 ფეხბურთი. იუნიორ ჩემპიონთა თასი. მალაიზია. PSV აინდჰოვენი-ბაიერნი
15:15 სნუკერი. შანხაის საერთაშორისო მასტერსი. მეხუთე დღე
17:30 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. ჰონ კონგი. ჩინეთი-დომინიკელთა რესპუბლიკა
18:30 ფეხბურთი. იუნიორ ჩემპიონთა თასი. მალაიზია. აიაქსი-მილანი
19:00 ფეხბურთი. ახალი ამბები
19:15 ფეხბურთი. იუნიორ ჩემპიონთა თასი. მალაიზია. აიაქსი-მილანი
19:45 სნუკერი. შანხაის საერთაშორისო მასტერსი. მეხუთე დღე
20:45 სნუკერი. შანხაის საერთაშორისო მასტერსი. მეხუთე დღე
22:30 უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი მოსკოვში.
23:00 უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი ლონდონში
23:30 რესტლინგი. აშშ
24:15 X-ტრიმ სპორტს YOZ
24:45 თავგადასავლები
01:15 სნუკერი. შანხაის საერთაშორისო-მასტერსი. მეხუთე დღე
02:00 თავგადასავლები

EUROSPORT 2

08:30 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. ტოკიო (იაპონია). ბრაზილია-ჰოლანდია
10:30 ახალი ამბები
11:00 ავსტრალიური ფეხბურთი (ოზი რულზი). ჟურნალი
12:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. ტოკიო (იაპონია). იაპონია-ტაივანი
14:00 ახალი ამბები
15:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. მოსკოვი (რუსეთი). რუსეთი-ყაზახეთი
16:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. ტოკიო (იაპონია). ბრაზილია-ჰოლანდია
17:00 სპორტული თამაში. ვიკინგი
17:30 სპორტული თამაში. ვიკინგი
18:00 ავსტრალიური ფეხბურთი (ოზი რულზი). ჟურნალი
19:00 ახალი ამბები
19:30 X-ტრიმ სპორტს YOZ
20:00 სპორტული იუმორი
20:30 ახალი ამბები
21:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. მოსკოვი (რუსეთი). რუსეთი-ყაზახეთი 22:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. ტოკიო (იაპონია). ბრაზილია-ჰოლანდია 23:00 ჰული. ევრო ტური. რანკვაილი (ავსტრია)
24:00 ახალი ამბები
24:15 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზი. ჰონ კონგი. ჩინეთი-დომინიკელთა რესპუბლიკა
01:15 ახალი ამბები
01:30 რესტლინგი. იაპონიის ლიგა
03:00 ახალი ამბები

SPORT 1 (უკრაინა)

06:55 ათასიდან ერთი
07:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. 2006/07. მაინცი-შალკე 04
08:35 მინი-მოედანი. ჰოკეი
09:05 ახალი ამბები
09:15 უკრაინის სპორტის ისტორია. 1955 წელი
09:20 ჩოგბურთი. მიმოხილვა
09:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 2006/07. ლაციო-მილანი
11:35 ფეხბურთი. გერმანია. ლიგის თასი. ფინალი. შალკე-ბაიერნი
13:30 ფიტნესს-გეგმა
13:55 მძლეოსნობა. ბელგია
17:00 ბარსელონა. ხავის პორტრეტი
17:45 გერმანიის ჩემპიონატი. 2006/07. ბორუსია (დ)-ვერდერი
19:30 ახალი ამბები
19:40 გასართობი პროგრამა
20:05 ჩოგბურთი. მიმოხილვა
20:30 პრემიერ ლიგის სამყარო
21:15 ახალი ამბები
21:25 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი
21:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ
22:15 ახალი ამბები
22:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. შტუტგარტი-შალკე (LIVE)
00:25 ახალი ამბები
00:35 კრივი. რინგ-საიდი
01:40 ახალი ამბები
01:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 2006/07. ლაციო-მილანი
03:40 ფეხბურთი. გერმანია. ლიგის თასი. ფინალი. შალკე-ბაიერნი
05:25 მძლეოსნობა. ბელგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

ფინალი

იარო-პია	**0:0**
პონსა-ვიტორია	**1:1**
მიუსა-ბაია	**0:3**

ინგლისი

ფულჰამი-ტოტენჰემი	**2:4**
ფილადელფია-ვიკინგერი	**1:0**
კეულეტონი-ბრეიდბერიტი	**0:3**

შვედეთი

II დივიზიონი

ფალკენბერგი-ბაკენი	**0:1**
იონგოპინგი-დეგერფორსი	**2:2**
ლანდსკრონა-სილვია	**4:0**
ნორჩოპინგი-ბიალბუ	**5:0**
ინრგრიბე-ლუნდსკილე	**1:2**
ოსტერი-ბუნკეფლო	**2:3**
სირიუსი-აგვიდბერგი	**1:2**
სანდსვალი-ენჩოპინგი	**1:1**

ამხანაგური მაჩრები

ბრედა-ხეგბუე	**0:0**
ბეგბისი-ბილანი	**1:0**
რეკრეატივო-სარაგოსა	**2:2**

ჩოგბურთი

ATP

მონრეალი

დავიდენკო-იუნი	7:6, 6:3
ჰაასი-სტეპანეკი	3:6, 6:2, 2:6
ჯოკოვიჩი-ნალბანდიანი	6:2, 6:3
ჰიუიტი-ჭრბატი	6:7, 7:6, 7:5
ნადალი-მატიო	3:6, 6:3, 6:2
ფედერერი-ფონინი	3:6, 6:2, 2:6

სტამბოლი

ტროიცკი-პრპიჩი	6:4, 3:6, 6:7
შუტლერი-სტახოვსკი	2:6, 6:3, 7:6
ჯოუნსი-დენიელსი	7:6, 6:4

სან მარინო

რამირეზ იდალგო-გუზმანი	6:4, 6:2
ვასალო არგელო-გალვანი	6:4, 6:1
სტარაჩე-ჯილი	6:4, 6:1

ვიგო

ვენტურა-**ალდი**	7:6, 0:6, 3:6
ვისენტე-**მარტინი**	3:6, 6:7
გონსალესი-ოუხაბი	6:4, 6:4
ორნა-**ლოპესი**	6:7, 1:6

WTA

ლოს ანჯელესი

კირილენკო-დულკო	6:3, 6:4
პეტროვა-სრებოტნიკი	6:1, 6:2
ჰანტუხოვა-დემენტიევა	3:6, 1:6
აზარენკა-კ. ბონდარენკო	6:1, 6:2

კალათბურთი

ევრო 2007

გადასასვლელი მაჩრები

შვედეთი-ესპანეთი	**50:57**

ამხანაგური მაჩრი

ჩეხეთი-უინეთი	**82:55**

სეზონის დაწყებამდე

ედმონტონი არ გაიყიდება

"ედმონტონ ოილერზის" ვიცე-პრეზიდენტის, **კოლ ნიკოლზის** თქმით, კლუბმა უარი შეუთვალა მილიარდერ **დერილ კაცს** 176 მილიონ დოლარად კლუბის გაყიდვის შესახებ.

"ოილერზის" მონილეთა ჯგუფი ამ ეტაპზე 33 პიროვნებას აერთიანებს, რომელთა 90-მა პროცენტმა მხარი დაუჭირა კლუბის მისი დღევანდელი მოწილეებისთვის დატოვებას.

"ჩვენი გუნდი მგონი, ერთადერთია, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ლოკალური ბიზნესჯგუფები და ადგილობრივი კერძო პირები მართავენ. ვაფასებთ მისტერ კაცის ყურადღებას, მაგრამ "ოილერზი" არ გაიყიდება. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ კლუბის ტრადიციები და გავუფრთხილდეთ "ედმონტონის" დიდ ისტორიას", - განაცხადა საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე კოლ ნიკოლზმა.

ცხრა წლის წინათ "ოილერზის" დღევანდელმა მფლობელებმა გუნდი 95 მილიონად შეიძინეს, "ფორბსის" მონაცემებით კი ალბერტის მხარის წარმომადგენლის რეალური საბაზრო ფასი სადღეისოდ 146 მილიონი დოლარია.

დამდეგი რეგულარულის დაწყებამდე კლუბმა თითქმის 14 000 სეზონური აბონიმენტი გაყიდა, რაც "ედმონტონის" ახალი რეკორდია.



რაფაელ ნადალი

ტურნირების მიმოხილვა

ფედერერს შვებულება დაუმთავრდა

ბრძოლდება მონრეალის მასტერსის სერიის ტურნირი, "როჯერს კაპი", რომლის მეორე წრეში თავიანთი პირველი შეხვედრები გამართეს მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** და მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**. ფორტუნამ ორივეს პირველივე მეტოქედ მეტად ძლიერი ჩოგბურთელი შეახვედრა - ფედერერს ატპ-ს ტურზე ყველაზე მაღალ ჩოგბურთელთან, ხორვატ **ივო კარლოვიჩთან** მოუნია პაექრობამ ნადალის მზადყოფნა კი რუსმა **მარატ საფინმა** გამოცადა.

ფედერერმაც და ნადალმაც მომდევნო წრეში გასასვლელი საგზურები ორ სეტში მოიპოვეს. თანაც, პირველი სეტი ორივემ ტაიბრეიკზე მოიგო. მაგრამ თუ შვეიცარიელ მაესტროს მეორე სეტის მოსაგებადაც ტაიბრეიკი დასჭირდა, ესპანელმა თავის მეტოქეს მშრალად მოუთავა ხელი, რითაც საფინის მორიგი ჩოგანი გაწირა.

რაც უიმბლდონის ჩემპიონის გვირგვინი ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა, ფედერერმა პირველად სწორედ მონრეალში ისურვა გამოსვლა. დიდი ხნის უთამაშებლობა კი მისი თამაშის ხარისხზეც აისახა. ცუდად არ უთამაშია, მაგრამ ვერც მეტოქის სერვისზე ახერხებდა გალაღებას. მით უმეტეს, რომ გიგანტი ხორვატი ძლიერი მოწოდებითაა ცნობილი. სამაგიეროდ, თავისი მცირე უპირატესობა ტაიბრეიკებზე გამოიყენა და გასამარჯვებლად ესეც საკმარისი გამოდგა.

"ვფიქრობ, კარგად ვითამაშე - ჩემს მოწოდებაზე ივოსთვის ბევრი შანსი არ მიმიცია. თანაც, ხაზიდან თამაშის დროსაც შეცდომებს თითქმის არ ვუშვებდი. მისი მოწოდების მიღება კი ძალიან გამიჭირდა. ეს არც გამკვირვებია, მას ხომ ტურზე ერთ-ერთი საუკეთესო მოწოდება აქვს. სამაგიეროდ, ტაიბრეიკზე ეფექტურად ვთამაშობდი, რამაც გამარჯვება მომაპოვებინა. საერთოდ კი, კენჭისყრამ პირველივე მეტოქედ ძალიან ძლიერი ჩოგბურთელი შემახვედრა. ჰოდა, ბედნიერი ვარ, რომ ეს ბარიერი გავიარე", - განაცხადა ფედერერმა, ვისაც მომდევნო ეტაპზე მეტოქეობას გაუწევს იტალიელი **ფაბიო ფონინი**, ვინც ტურნირის ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვდა, პირველ წრეში კი ბრიტანელი **ენდი მარეი** დაამარცხა.

მარეიმ წაგების შემდეგ განაცხადა, რომ მაჯის ტკივილმა კვლავ შეახსენა თავი და ექიმების რჩევით, მომდევნო ორ ტურნირს გამოტოვებს. ამასთან, იმედოვნებს, რომ ტრავმა ბოლომდე მოუშუშდება და აშშ-ის ღია პირველობაზე პრობლემებს აღარ შეუქმნის.

ნადალი, ვინც უიმბლდონი ზედიზედ მეორედ დაასრულა ვიცე-ჩემპიონის რანგში, პირველი სეტის დასაწყისშივე დანინაურდა. თუმცა საფინმა მალევე შეძლო საპასუხო ბრეიკის აღება და მე-12 გეიმში თავად მიიღო ორი სეტ პოინტი. მაგრამ ნადალმა ორივე მოიგერია, რის შემდეგაც სეტმა ტაიბრეიკზე გადაინაცვლა. იქ კი ესპანელი ოდნავ უფრო სტაბილური იყო და სეტიც მის სასარგებლოდ დასრულდა.

"როცა მე ბრეიკი ავიღე, მან შესანიშნავად ითამაშა და მაშინვე გამიქვითა უპირატესობა. შემდეგ კი სერიოზული პრობლემები შემიქმნა და მინდა ვთქვა, ძალიან გამიმართლა, როცა ორივე სეტ პოინტი მოვიგერიე. მერე კი ჩემთვისაც მოულოდნელად, ყველაფერს მეტად იოლად მივაღწიე", - განაცხადა ნადალმა, ვინც მესამე წრეში ფრანგ **პოლ-ანრი მატიოს** დაუპირისპირდება.

ერთი ტაიბრეიკი ამერიკელ **ენდი როდიკსაც** დასჭირდა, რომელმაც ასევე ორ სეტში დაამარცხა ფრანგი **არნო კლემანი**. როდიკმა, ვინც წინა კვირაში ვაშინგტონის ტურნირის ჩემპიონი გახდა, პირველი სეტი იოლად მოიგო, მაგრამ მეორეში პრობლემები შეექმნა - ტაიბრეიკზე თავიდან ფრანგი 5:3 დანინაურდა, მაგრამ შემდეგ ამერიკელმა ზედიზედ ოთხი ქულა მოიპოვა და ამით შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა.

"მეორე წრეში არნო გაცილებით აგრესიულად ათამაშდა, უფრო მეტსაც რისკავდა. მოკლედ, ბევრი პრობლემა შემიქმნა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში მეც კარგად ვითამაშე და ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვებაც მე დამრჩა", - განაცხადა როდიკმა, ვისაც მესამე წრეში მეტოქედ კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი** ეყოლება.

მერაბ ლორთქიფანიძე

ATP

როჯერს კაპი

მონრეალი (კანადა)

მასტერსის სერია. ჰარდი

საპრიზო ფონდი: 2 450 000 დოლარი

მეორე წრე

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-ივო კარლოვიჩი (ხორვ) 7:6(2), 7:6(3); **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-მარატ საფინი (რუს) 7:6(4), 6:0; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:3, 7:6(5); **ენდი როდიკი (აშშ, 5)**-არნო კლემანი (საფ) 6:1, 7:6(5); **დომინიკ ჰრბატი (სლვკ)**-ტომი რობრედო (ესპ, 7) 6:2, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-რიშარ გასკე (საფ, 8) 3:6, 7:6(7), 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9) ბლეიკმა არ ითამაშა; **ტომი ჰაასი (გერ, 12)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:3, 3:0 რასელის ტრავმა; **ფაბიო ფონინი (იტა)**-ენდი მარეი (ბრიტ, 13) 6:2, 6:2; **მიხაილ იუჟნი (რუს, 14)**-სტანისლას ვავრინკა (შვეი) 6:4, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 16) 7:6(4), 6:1; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:2, 3:6, 6:1; **პოლ-ანრი-მატიე (საფ)**-მარიო ანჩიჩი (ხორვ) 6:3, 6:2; **ფრანკ დანჩევიჩი (კან)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:3, 4:6, 7:5

WTA

ისტ ედისტ ბენდ ქლასიკი

ლოს ანჯელესი (აშშ)

მეორე კატეგორია. ჰარდი

საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

მეორე წრე

მარია შარაპოვა (რუს, 1)-ელენი დანილიდუ (საბ) 7:6(5), 3:1 დანილიდუს ტრავმა; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 2)**-შუაი პენი (ჩინ) 6:1, 6:1; **ანა ივანოვიჩი (სერბ, 3)**-ეშლი ჰერკლეროუდი (აშშ) 6:4, 6:2; **ნადია პეტროვა (რუს, 4)**-ლილია ოსტერლო (აშშ) 7:5, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 5)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3, 7:6(5); **ელენა დემენტიევა (რუს, 9)**-მედისონ ბრენგლი (აშშ) 6:2, 6:0; **ვირჟინი რასანო (საფ)**-შაჰარ პეერი (ისრ, 10) 6:1, 4:6, 7:6(6); **სიბილ ბამერი (ავსტ, 13)**-ოლგა გოვორცოვა (ბელა) 6:2, 6:1; **კატარინა სრებოტნიკი (სლო, 15)**-მარა სანტანჯელო (იტა) 6:0, სანტანჯელოს ტრავმა; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 16)**-აი სუგიამა (იაპ) 6:3, 6:4; **ვიკტორია აზარენკა (ბელა)**-მეგან შონესი (აშშ) 6:2, 6:3

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაბარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. ბარდა კვირისა

ვარსკვლავი

ვინ დგას შარაპოვას უკან?

კლანი, რომელიც რუსს რუსეთში არ უშვებს

პირველი ნაწილი

გაზაფხულზე მთელმა რუსულმა სპორტულმა სამყარომ შვებით ამოისუნთქა - მარია შარაპოვამ ფედერაციის თასზე თავისი ქვეყნის, ანუ რუსეთის შემადგენლობაში თამაშზე თანხმობა განაცხადა.

19 აპრილს, მოსკოვის "მეტროპოლში" დაიგეგმა მასშტაბური ღონისძიება, რომელიც მთლიანად მარიას ამ გადაწყვეტილების გამო აგორდა. რუსული შოუბიზნესის მთელი თანავარსკვლავედი, დასავლელი სტუმრები, მომღერალი მაიკლ ბოლტონი და მსახიობი ჯულია ორმონდი, მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი და ბევრი სხვა ცნობილი სახე შარაპოვას სანახავად და ნაკრების მისი უძლიერესი წევრით შევსების აღსანიშნავად შეიკრიბა. ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთის ფასი 5 000 დოლარიდან იწყებოდა, თუმცა დარბაზი მარიას გამოჩენამდე ერთი საათით ადრე უკვე სავსე იყო. წარმოიდგინეთ, როგორ გაწბილდა საზოგადოება, როდესაც შეიტყო, რომ შარაპოვა "შეუძლოდ გამხდარა" და ამ მიზეზით "მეტროპოლში" ვერ მივიდოდა. ბოლოს კი, ლუჟკოვს სახე რომ აეჭრა, ყველა მიხვდა, რომ საქმე გაცილებით სერიოზულად იყო. იქვე, ღრეობის დაწყებიდან 2 საათის მერე ერთ-ერთმა რუსმა ჟურნალისტმა "გააბაზრა", რომ მარია არათუ ამ ღონისძიებაზე, ფედერაციის თასზეც არ ჩამოვიდოდა. მიზეზი, როგორც ყოველთვის, გადაღლილობა იყო.

ჰარკლროუდი რომ არ გათხოვილიყო...

მოდით, შესავლის სახით, ოდნავ უკან გადავინაცვლოთ. 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, საჩოგბურთო სამყარო სამმა მონსტრმა სამენეჯმენტო კორპორაციამ გადაინაწილა.

PRO SERV (პროფეშნლ სერვის, რომელიც SFX სპორტს გრუპ-ს ეკუთვნოდა).

ADVANTAGE (ინტერპაბლიკ გრუპ-ის შვილობილი).

IMG (ინტერნეიშნლ მენეჯმენტ აგენსი, დამოუკიდებელი საგენტო).

მთელი ეს წლები, ანუ 1992-დან სადღაც 5 წლის განმავლობაში, ამ სამ ზვიგენში ყველაზე პატარა ლუკმა ყოველთვის IMG-ს რჩებოდა, კონკურენტები კი პერსპექტიული მოთამაშეებისგან მეგავარსკვლავეებს ძერწავდნენ. პირველი ორი ჯგუფი განაგებს **ვენუს უილიამსის, მარტინა ჰინგისის, სერენა უილიამსისა** და **დანიელა ჰანტუხოვას** სარეკლამო კონტრაქტებს და მათი საპრიზოებიდანაც დიდ კუშს ხსნის.

IMG-ის ბოსმა **მარკ მაკორმიკმა** კი 1999-ში დაიფიცა, სექსსიმბოლოს ტიტული **ანა კურნიკოვას** ჩემი სააგენტოს რომელიმე წარმომადგენელმა უნდა ჩამოართვას და თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ იქნებ ანა, თავისი ენერიკეთი ჩვენთან წამოვიყვანოთო. მან თავის აგენტებს ახალი "მერილინ მონროს" აღმოსაჩენად 3 თვე მისცა.

მარკის ინსტრუქციების თანახმად, "კურნის" შემცვლელი და ანუშკას მთავარი კონკურენტი უნდა ყოფილიყო ქერა, მაქსიმუმ 15 წლის, ქალიშვილი, რომელიც ამავე დროს სექსუალური და გამომწვევი შესახედაობის იქნებოდა.

მაკორმიკის დავალება სამ თვეში ვერ შესრულდა და ქასთინგი 2000 წლის ზაფხულისთვის გადაიდო. "ფინალურ ეტაპზე" გავიდნენ ერთი შავკანიანი, ულამაზესი ფეხების პატრონი სლოვაკი, ქერა ინდოელი და მარია შარაპოვა.

მარია შარაპოვა, თუმცა ამ უკანასკნელის ანკეტასთან გაცნობის მერე, მაკორმიკმა მარია სიიდან ამოაშლევინა - მსოფლიო საჩოგბურთო სამყარო კიდევ ერთ ქერა რუსს ვერ აიტანსო.

ბოლოს, მარკმა გამარჯვებულად თავისი თანამემამულე **ეშლი ჰარკლროუდი** გამოაცხადა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ყველაფერი ერთი ხელის მოსმით დაამსხვრია - ეშლი 18 წლის ასაკში რუსეთის იმპერიის ყოფილ მოქალაქეს, ამერიკაში გადმოსახლებულ **ალექს დოლგოპოლოვს** ცოლად გაჰყა და კონტრაქტის პირობაც დაარღვია (გათხოვება და სექსი დიდი კონტრაქტის გაფორმებამდე აკრძალული იყო).

ჰარკლროუდის დაკარგვა დიდი დარტყმა კი იყო, მაგრამ ამის შემდეგაც კი, მარკის სააგენტოში შარაპოვა არავის გახსენებია - აქცენტი **დანიელა ჰანტუხოვაზე** კეთდებოდა. ამ დროს კი კულისებიდან ვინმე **მაიკ აიზენბადი** გამოჩნდა.

მარკ აიზენბადი და მარია შარაპოვა

თავისთავად, შარაპოვა დღესდღეობით ყველაზე ცნობადი რუსი მანდილოსანია, ვისაც სხვადასხვა კომპანიასთან 35 (!) მრავალწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. მით უმეტეს, ცოტა უცნაურიც კი არის, რომ ამ სექსგოგოს ჯერ ბოიფრენდად, მერე კი მენეჯერად თმაგაცვენილი, აფერისტი, გადამგდები და... ფულით გაძეძგილი **მარკ აიზენბადი** ჰყავს.

ჰარვარდში სწავლისას მარკმა თავისი პირველი მილიონი დოლარი მაქინაციებით იშოვა და ორჯერ წინასწარი პატიმრობის საკანშიც ამოყო თავი. პირველად მას

მანქანაში ჰეროინი უპოვეს, მეორედ კი მარკი 15 წლის გოგოსთან სექსის გამო დაიკავეს, თუმცა ვერაფერი დაუმტკიცეს, რადგან "დაზარალებულმა" გოგონამ "ამნეზიის" მიზეზით, ყველაფერი დაივიწყა.

ამ საეჭვო რეპუტაციის გამო მარკს დიდი ხნის განმავლობაში თითქმის არცერთ სოლიდურ კომპანიაში არ იღებდნენ სამუშაოდ, ბოლოს კი მორიგი აფიორით მან IMG-ს კარი შეაღო.

თავიდან იგი **ნიკ ბოლეტიერის** აკადემიაში საპატიო სკაუტად გაუშვეს და ხელფასის სახით თვეში მხოლოდ 3 000 დოლარს უხდიდნენ. მარკს პირდაპირ უთხრეს, თუ უახლოეს პერიოდში ფირმა შენგან ხეირს ვერ ნახავს, ხელშეკრულებას არ გაგიხანგრძლივებთო.

ფლორიდის შტატ ბრედენტონში აიზენბადმა მარია შარაპოვა იპოვა, რომელზეც დღემდე უკვე სადღაც 27 მილიონი დოლარი აქვს გაკეთებული. მასსა და მარიას მხარეს შორის დადებული ხელშეკრულება 2015 წლამდეა ძალაში.

(გაგრძელება იქნება)

ზურაბ თალაკვაძე